ახალგაზრდა ეროელი

გამოსცემს 1921 წლიდან

ხუთშაბათი
6
სექტემბერი
№ 96 (11582)
1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების მონაწილე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების სია

1. საქართველოს კომპარტია
2. საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია
3. „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის“ („დას“-ი)
4. საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია
5. საქართველოს სახალხო ფრონტი
6. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია
7. საქართველოს მწვანეთა პარტია
8. საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი
9. საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი
10. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება
11. სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება
12. საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი
13. საქართველოს ჰელსინკის კავშირი
14. საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია
15. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება
16. საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი
17. საქართველოს რესპუბლიკური პარტია
18. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
19. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
20. საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტია
21. საქართველოს მთიელთა პოლიტიკური კავშირი
22. საქართველოს სახალხო პარტია
23. არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება
24. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
25. სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტია
26. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
27. საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია
28. ივ. ჯავახიშვილის საზოგადოება
29. საქართველოს დემოკრატიული სახალხო ფრონტი

სია პარტიებისა, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაში

ბატარეებაზე:

1. საქართველოს სამართლიანობისა და ეროვნული ერთიანობის პარტიას, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის მე-8 მუხლს.

2. საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიულ პარტიას, ვინაიდან მისი წესდების მიხედვით პარტიის წევრი შეიძლება იყოს სამეურნეო ორგანიზაციაც, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის მე-8 მუხლს.

3. საქართველოს გლეხთა პარტიას, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მისი წესდებით პარტიის წევრობისთვის დაწესებულია კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნები, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

4. საქართველოს შრომის პარტიას, რადგანაც მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოქმედებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონებით, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

5. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნულ პარტიას, ვინაიდან იგი არ არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია და მას აფინანსებს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

6. სრულიად საქართველოს სოციალური სამართლიანობის საზოგადოება „ლემი“-ს იმერეთის რეგიონს, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

7. დემოკრატიულ მოძრაობა „ვრასტან“-ს, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

8. საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირს, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მონაწილეობა არ მიუღია რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, რაც ეწინააღმდეგება კანონის მე-8 მუხლს.

9. საქართველოს აგრარულ კავშირს, ვინაიდან იგი წარმოადგენს აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი საწარმოების, გაერთიანებების და სხვა სამეურნეო ერთეულების შრომითი კოლექტივების კავშირს, რაც ეწინააღმდეგება კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

10. საქართველოს ეროვნულ კონსტიტუციურ ალიანსს, ვინაიდან მისი წესდება ითვალისწინებს პარტიის კოლექტიურ წევრებს, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

11. საქართველოს „ტალინის“ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ვინაიდან თავის საქმიანობას წარმართავს სკკპ პროგრამისა და წესდების მიხედვით, და საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციების მარქსისტულ-ლენინური დებულებების საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება კანონის მე-8 მუხლს.

ვინ ქმნის დეფიციტს?

1 სექტემბრის „ახალგაზრდა ეროელში“ გაგაცანით „კომსომოლსკაია პრავდის“ 25 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოდან კუიბიშევში გაგზავნილია 40 000 კოლოფი სიგარეტი. პასუხი გაერთიანება „თბილთამბაქოდან“ მოვითხოვეთ. როგორც გაირკვა, აქ არაფერ შუაშია „თბილთამბაქო“, რომელსაც პრაქტიკულად არავითარი კავშირი სავაჭრო ქსელთან არა აქვს.

სხვადასხვა ჭორი რომ არ აგორდეს, აქვე გაცნობებთ, რომ ამ ოპერაციასთან ასევე არავითარი კავშირი არა აქვს „საქსურსათბითუმვაჭრობის“ რესპუბლიკურ გაერთიანებას.

ამდენად, კითხვა ღიად რჩება — ვინ ქმნის დეფიციტს?

საპროტესტო განცხადების პასუხად

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ გულდასმით განიხილა 1990 წლის 17 აგვისტოს რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის საპროტესტო განცხადება და საჭიროდ მიიჩნია განმარტოს შემდეგი:

1990 წლის პირველი აგვისტოდან მოქმედებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული კანონი „ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ“. ამ კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად ჟურნალ-გაზეთების გავრცელება ხდება უშუალოდ გამომცემლის ან კავშირგაბმულობის საწარმოების მიერ ხელშეკრულებით.

ამჟამად არსებული წესის მიხედვით გამომცემელი უნდის კავშირგაბმულობას ჟურნალ-გაზეთების გავრცელების, ექსპედირების, გადაზიდვისა და ჩაბარებისათვის ანაზღაურებას წელიწადში 1,6 მილიონ მანეთს, მაშინ, როდესაც ფაქტიური ხარჯები გაცილებით მეტია, ე. ი. კავშირგაბმულობის საწარმოები დიდად ზარალდებიან.

ამრიგად, საწარმოებსა და გამომცემლობებს შორის ათეული წლების განმავლობაში არსებობდა უსამართლო, კაბალური დამოკიდებულება, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ გამომცემლობა იხდიდა მარტო გავრცელებისა და ექსპედირების ხარჯებს 1939 წელს დადგენილი ფასების მიხედვით, ხოლო გადაზიდვისა და მიტანის ხარჯები, რომლის ხვედრწილი მთელი ხარჯების 35 პროცენტს აღემატება, რჩებოდა აუნაზღაურებელი.

ეს უსამართლობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ამ საქმეში დაკავებულ მომუშავეთა (8 ათასამდე კაცი) მატერიალურ უზრუნველყოფაზე.

სამწუხაროდ, მიუხედავად დიდი დატვირთვისა და მუშაობის მძიმე პირობებისა, ფოსტალიონის ყოველთვიური ხელფასი 100-140 მანეთის ფარგლებშია და ამ მიზეზით გვხვდება მომუშავეთა დიდი დენადობა და უკმაყოფილება, არის საპროტესტო აქციების მოწყობის მცდელობაც.

ამის გამოსწორების მიზნით, კანონის, სამეურნეო ანგარიშის პრინციპების და სხვა რესპუბლიკების გამოცდილების გათვალისწინებით მოვახდინეთ ჟურნალ-გაზეთების გავრცელების ექსპედირების, გადაზიდვის და ჩაბარების ხარჯების გაანგარიშება და საშუალოდ მივიღეთ გამოცემათა ნომინალური ღირებულების დათმობის 50,6 პროცენტი, რაც აუცილებელია ფაქტიური ხარჯების ანაზღაურებისათვის. ასეთივე დათმობის პროცენტი გაიანგარიშა ცენტრალურმა კვლევითმა ინსტიტუტმა, რომელმაც გაიარა ექსპერტიზა სახელმწიფო ფასების კომიტეტში.

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სამუშაოს შესრულება იმაზე ნაკლებ ფასად, რაც ეს წარმოებას უჯდება, ეკონომიკურად გაუმართლებელია და ამჟამად არსებული პირობების თავზე მოხვევა, რა მოტივითაც არ უნდა იყოს ის ნაკარნახევი, უფრო მეტი დიქტატი და სამეურნეო ანგარიშის პრინციპების დარღვევა იქნებოდა.

ამის შესაბამისად ჩვენ მივმართეთ გამომცემლობებს, მათ შორის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობას, რომ მათ გაზეთების გავრცელების, ექსპედირების, გადაზიდვისა და მიტანის საქმის კავშირგაბმულობის საწარმოებზე მინდობის შემთხვევაში უნდა დასდონ ხელშეკრულება. ამასთან, შევთავაზეთ ჩვენი პირობები.

ამ სამუშაოს პირნათლად შესრულება საფოსტო მუშაკების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის და სამინისტრო შორსაა იმ აზრისაგან, რომ თავისი რიგიანი არასწორი მოქმედებით ხელი შეუშალოს თავისუფალი პრესის არსებობას.

იგი მოქმედებს მხოლოდ „ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ“ კანონის 21-ე მუხლისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელების, ექსპედირების, გადაზიდვისა და მიტანისათვის ფაქტიურად გაწეული ხარჯების ანაზღაურების გაანგარიშების მიზნით მიღებული პროცენტის შესაბამისად. სწორედ ამაზე დაყრდნობით მივმართეთ გამომცემლობებს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მრავალი გაზეთის გამომცემლობამ მიიღო საფოსტო საწარმოების მიერ წაყენებული პირობები. გადაფორმების პროცესშია ხელშეკრულება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობასთან.

ამჟამად სამინისტრომ გადახედა ხარჯების თვითღირებულების სტრუქტურას და გამონახა საშუალება სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების — მაღალფასიანი გაზეთების დათმობა დაიყვანოს 25 პროცენტამდე.

ბოლოს მინდა აღვნიშნო: კავშირგაბმულობისა და ბეჭდვითი ორგანოების მუშაკთა შორის ტრადიციულად დამკვიდრებულია ურთიერთგაგება და მხარდაჭერა. დატარების სამსახურის მუშაკები ერთგულად ასრულებენ მეტად რთულ და საპატიო ფუნქციას — გაზეთის მკითხველამდე მიტანას.

ამ პირობებში ჩვენი საქმიანობის, რომელიც შიმართულია დანახარჯების სამართლიანი ანაზღაურებისაკენ, ანტიდემოკრატიულად, ანტიეროვნულად და მძარცველურად ჩათვლა უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

მიხეილ ინაური,
საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსნის ხეობის სურათები

ჩვენი საჯარიანი

საქართველოს ძირძველი მხარე, ქსნის ხეობა, ყელის ტბით იწყება: თვით მდინარე ქსანი ამ ტბიდან გამოდის და ულამაზეს სანახებს ქმნის; ტბა 7-8 თვის განმავლობაში ყინულით არის დაფარული. ზაფხულში, როცა ყინული დნება და წყლის დონე მაქსიმალურია, მისი მოცულობა 32 მილიონ კუბურ მეტრს აღწევს. ტბის სარკე — 1,28 კვადრატული კილომეტრია, ხოლო მაქსიმალური სიღრმე — 63 მეტრი. აქ არის ბორჯომის ტიპის სამკურნალო წყალი, რომელიც ეამურის სახელწოდებით არის ცნობილი და კუჭ-ნაწლავის მკურნალობისათვის საუკეთესო თვისებით გამოირჩევა (ფოტო 1).

ქსნის ხეობიდან ზამთრის საძოვრებამდე მანძილი ათასი კილომეტრია. ამ გზას ცხვარ-მეცხვარე წელიწადში ორჯერ გაივლის.

ახლაც, ოქტომბრის ბოლოს, ქსნის ხეობაში გალაღებული ცხვარი ყიზლარის ზამთრის საძოვრებისაკენ დაიძრება.

თეიმურაზ ჩიტიშვილი ლენინგორის რაიონის უკანა მხარის კოლმეურნეობის მოწინავე თაჯრობანი ათასამდე ცხვარს უვლის, ხოლო ყოველი ასი ნერბიდან 90 ბატკანს და თითო ცხვრიდან საშუალოდ 1,6 კილოგრამ მატყლს იღებს...

ყიზლარის სტეპში და, რა უნდა, ქსნის ხეობაში თეიმურაზ გამოცდილ მეცხვარედ იცნობენ და ახალგაზრდების დამრიგებლის ავტორიტეტითაც სარგებლობს. იგი საქართველოს სახელოვან მწყემსთა ლირსეული შთამომავალია (ფოტო 2).

ვახტანგ კარელიძე ლენინგორის რაიონის ბალაანის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეცხვარე გახლავთ. სკოლის დამთავრების შემდეგ უკვე ექვსი წელია ცხვარს მწყემსავს — მიხეილ საბაიაშვილის საჯარო ბრიგადის წევრია. გალადურის იალაღები და ნოღაეთის ველები მკითხველთა უმრავლესობისათვის შეიძლება არაფრის მთქმელი იყოს, მაგრამ ახალგორელი მწყემსებისათვის კი მეტად ნაცნობი და მშობლიურია — მშრალივით ხან მკაცრიც, ძნელად გასაველი ცხოვრებისათვის შვილს რომ ამზადებს (ფოტო 3).

ახლა ორიოდე სიტყვა მწყემსის ერთგული მეგობრის შესახებ — კავკასიური ნაგაზი ქართული ენციკლოპედიის მიხედვით გაბედული, მაღალი, მსხვილი, ღონიერი და ამტანი ცხოველია. ადვილად იგეშება. იგი უძველესი დროიდან მხარში ედგა ჩვენს წინაპარს. გამოცდილი მეცხვარეების აზრით ასეთი ძაღლები თავისუფლად უმკლავდებიან დათვს, გნებავთ მგელს და დაუპატიჟებელ სტუმარს კუდამოუებულს ისტუმრებენ. რა თქმა უნდა, მთასა თუ ბარში მეცხვარისათვის ასეთი ძაღლების ყოლა აუცილებელია (ფოტო 4).

სამების ეკლესია, ანუ სამებაოქროსკარიანი, ნიკო ჩუბინაშვილმა VII საუკუნით დაათარიღა. ლეგენდა მოგვითხრობს — არაბმა დამპყრობმა მურვან ყრუმ (VIII) ქსნის ხეობაც დალაშქრა და სამებიდან დიდძალი განძი გაიტაცა. ამ დროს მის ლაშქარს შავი ჭირი შეეყარა და ათასობით მეომარი დაეხოცა. მოწვეულმა მისნებმა დამპყრობს ურჩიეს სამების ნაძარცვი დაუბრუნეთ, თორემ უარესი მოგივათ, მთლიანად მოგსრავთო. შეშინებულებმა ეკლესიას ნაძარცვი მართლაც უკლებლივ დაუბრუნეს, ხოლო კარები ოქროში ჩასვეს. სწორედ აქედან მოდის ეკლესიის მეორე სახელწოდება. რაც შეეხება დღევანდელობას, ვფიქრობთ, სურათი ნათელია... დგას განძარცული და ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მესვეურებისაგან დავიწყებული (ფოტო 5).

წელს მარიამობას (28 აგვისტოს) საქართველოს მრავალი კუთხიდან სალოცავად დიდძალი ხალხი ეწვია სამება-ოქროსკარიანს. უთვალავი სანთელი დაინთო და შესაწირავიც უხვად იყო. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ამ საქველმოქმედო საქმემ ნახევრადდანგრეულ ეკლესიას რამე შემატოს...

დიმიტრი ბუხაშვილი,
ავტორის ფოტოები.
ავტორის თხოვნით ამ ფოტონარკვევის პონორარი გადაირიცხება ზერაბ კოსტავას ფონდში.

მიმართვა

არაფორმალურ გაერთიანებებს, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, ფართო საზოგადოებრიობას

ძვირფასო თანამოქალაქენო, ჩვენს დედაქალაქს, ჩვენს მოსახლეობას სერიოზული ეკოლოგიური საფრთხე ემუქრება, ეს დღითიდღე რეალური ხდება, რადგანაც ინტენსიურად მატულობს გარემოს დაბინძურების ხარისხი. ამას ემატება ცივილიზებული საზოგადოებისათვის სრულად მიუტევებელი დაუდევრობა და უსულგულობა სისუფთავისადმი, რის გამოც ლამისაა თბილისი დიდ სასაფლაოს დაემგვანოს. ეს, გარდა იმისა, რომ ესთეტიკური თვალსაზრისით, უსიამოვნოა და სამარცხვინო, ძალზე საშიშია ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, რადგან ყველა პირობას ქმნის სხვადასხვა ეპიდემიის გაჩენისათვის...

ჩვენი საზოგადოება დღეს ყველაფერს აკეთებს ადამიანის ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის, ყველაფერი იცვლება, ვითარდება პროგრესულად, მაგრამ რატომღაც თანდათან კნინდება ჩვენი სანიტარული კულტურა. ამას ყველა ვამჩნევთ, ვწუხვართ, მაგრამ მის დასაძლევად არაფერს ვაკეთებთ.

არადა ამ საქმეში ბევრი რამ შეუძლია ჩვენს ახალგაზრდობას, მის ენთუზიაზმს, მის პატრიოტულ სწრაფვას, ოღონდაც საჭიროა მათი მობილიზება. ურიგო არ იქნება, თუ მივბაძავთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, თუნდაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, სადაც სწორედ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა ასუფთავებს და უვლის თავის ქალაქს.

არც ისე ძნელია, ვაქციოთ თბილისი სისუფთავის ნიმუშად, თუკი თითოეული ჩვენგანი შინმოსვლისთანავე მაგრად კი არ მიიჯახუნებს თავისი ბინის კარს, ირგვლივაც მიმოიხედავს და საერთო სადარბაზოს, საერთო ბუნკერის, საერთო დერეფნის დასუფთავებაზეც იზრუნებს.

მთელს თბილისში მოუვლელია ნაგვის ბუნკერები. მათი უმრავლესობა გადაკეთებას მოითხოვს, ამას თან ერთვის მოსახლეობის თითქმის ბარბაროსული დამოკიდებულება და ჩვენი ეზოები, ჩვენი ქუჩები ნაგვითაა სავსე.

თბილისის სადეზინფექციო სამსახური შიშს გამოთქვამს იმის გამო, რომ იძულებულია საცხოვრებელ სახლებში, სხვადასხვა დაწესებულებებსა თუ საზკვების ორგანიზაციებში, საბავშვო ბაგა-ბაღებსა და სკოლებში გაჩენილი მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ იხმაროს პირველი კატეგორიის შხამის დიდძალი რაოდენობა. ეს ის ნივთიერებებია, რომელმაც შეიძლება ადამიანის და მით უფრო ბავშვების ორგანიზმში აკუმულირება განიცადოს და გაჩნდეს ახალი დაავადებანი, მოწამვლა...

ეს რეალური საფრთხეა და მდგომარეობა უკვე საგანგაშოა. ამიტომაც, სადეზინფექციო სადგური თხოვნით მიმართავს თბილისელებს — მიიჩნიონ სისუფთავისათვის ბრძოლა პატრიოტულ საქმედ, მხარში ამოუდგნენ სანიტარულ და სადეზინფექციო სამსახურებს, შექმნან მსხვილ საწარმოებში, უმაღლეს სასწავლებლებში სისუფთავისათვის მებრძოლი ბრიგადები; სანიტარიის ინსტიტუტმა და სანგანათლების სახლმა იზრუნონ მოსახლეობაში სანიტარული კულტურის ამაღლებისათვის, საქართველოს ტელევიზიამ, რადიომ, პრესამ აქტიურად დაგვიჭიროს მხარი ამ საშვილიშვილო პატრიოტულ საქმეში და პროპაგანდა გაუწიოს მას.

დედაქალაქის სადეზინფექციო სადგური აფრთხილებს თითოეულ მოქალაქეს, რომ ჩვენი ჯანმრთელობა საფრთხეშია (ამ გამოთქმის სწორედაც პირდაპირი მნიშვნელობით) და მძიმე ეპიდემიის აფეთქების წინაშე ვდგავართ. თუ ყველამ ერთად არ გამოვიღეთ ხელი, თუ არ ჩავთვალეთ ჩვენი ცხოვრების აუცილებელ ნორმად სისუფთავისათვის ბრძოლა, როგორც ეს კულტურულ საზოგადოებას ეკადრება, ჩვენ სერიოზული კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით.

გაცნობებთ, რომ 10-17 სექტემბერს თბილისში ტარდება ერთიანი დასუფთავება-დამუშავების კვირეული. ეს დღეები ჩავთვალოთ დიდი საქმის დასაწყისად, რომელიც მუდმივად გაგრძელდება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ინიციატივას მრავალი მხარდამჭერი და თანამდგომი გამოუჩნდება. ამიტომაც, გაცნობებთ ჩვენს ტელეფონს და გიწვევთ თანამშრომლობისათვის — 73-58-10; 73-59-02.

დაბოლოს, იმას, რასაც ახლა ვიტყვით, სხვანაირად ნუ გამოგებმეს ჩვენც ისევე როგორც მთელმა საქართველომ, იცის, რომ ახლა ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, ყველა გაერთიანება თავისი უდიდესი მნიშვნელობის კამპანიით არის დაკავებული, მაგრამ გვერწმუნეთ, სანიტარულმა მდგომარეობამ დედაქალაქში, ასევე სხვა დიდ ქალაქებშიც, მართლაც, ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ არ არის გამორიცხული არჩევნების — იქნება ეს ეროვნული კონგრესისა თუ უზენაესი საბჭოსი — მასობრივი ეპიდემიის პერიოდი დაემთხვეს.

ამიტომ, კიდევ ერთხელ გთხოვთ, ყველას, ყველა გაერთიანებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას, დაგვეხმაროთ სანიტარული დასუფთავება-დამუშავების კვირეულის სწორად ორგანიზებაში. ისე დაბეჯითებით იმიტომაც მოგმართავთ, რომ იმედი გვაქვს საზოგადოებაში თქვენი დიდი ავტორიტეტისა და კიდევ იმისა, რომ გულთან ახლოს მიიტანთ შექმნილი სიტუაციის სიმწვავეს და ყველაფერს გააკეთებთ მისი შეძლებისდაგვარად გადაწყვეტაში.

ვიქტორ მოსიძე,
თბილისის სადეზინფექციო სადგურის მთავარი ექიმი.

სულიერი აღორძინებისადა ჰარმონიული განვითარების ასოციაცია აცხადებს

მსმენელთა მიღებას მრავალდარგოვან კურსებზე ინტეგრალური მედიცინის განხრით, სადაც ჩატარდება ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობანი: ბიოენერგოთერაპიაში აუდიო-ვიზიოთერაპიაში, ძველი, სატაძრო მედიცინის საფუძვლებში, წერტილოვან მასაჟში, ასტროლოგიურ მედიცინაში, ჰომეოპატიასა და ფიტოთერაპიაში.

მსმენელები მიიღებენ ინფორმაციას თვითრეგულაციის, მედიტაციური აზროვნების და გაჯანსაღების მეთოდების შესახებ, გაერკვევიან ექსტრასენსორული ეფექტების საიდუმლოებაში, კურსებს ხელმძღვანელობს გიორგი მეფისაშვილი.

ლექციები დაიწყება ამა წლის 17 სექტემბერს, საღამოს 6 საათიდან.

ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის გამზირი 52/54. ტელეფონი: 96-31-64. 96-70-40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმობა–ერთობა–თავისუფლება–დემოკრატია

დაინტერესებულ საზოგადოებას მოეხსენება, რომ 1989 წლის ნოემბრიდან უნივერსიტეტის სტუდენტთა და მეცნიერ-თანამშრომელთ ჯგუფის ინიციატივით ჩამოყალიბებულია საქართველოს **ეროვნული თანხმობის ასოციაცია,** რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საზოგადოებაში ისეთი მდგომარეობის მიღწევა, როცა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი, ურთიერთპატივისცემით, თანხმობით და თანამშრომლობის იდეებით გამსჭვალული შეუდგება ერთიანი მიზნის განხორციელებას — საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების პრაქტიკულ დაცვას.

დღეს ყოველგვარი კონფრონტაცია არა მარტო ლაფში სვრის ეროვნულ მოძრაობას, არამედ ლახვარს სცემს ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ გველის უაზრო, უპერსპექტივო კონფრონტაცია, ახალი ეთნოკონფლიქტები, ლიბანის აჩრდილი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, დემოკრატიის იდეების შივიწყება, ხანგრძლივი პოლიტიკური და სოციალური აპათია.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ თანხმობის გზა ეკლიანია. ყოველივე ამას სჭირდება დრო, მოთმინება და დიდი შრომა.

სიტუაციის განმუხტვის გრძელ გზაზე პირველ ნაბიჯად ეროვნული თანხმობის ასოციაცია გთავაზობთ საზოგადოებრივი შეთანხმების პროექტს, რომელსაც საფუძვლად ვუდებთ იმის გაგებას, რომ ყოველი შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთდაახლოების გზით.

პირველი კითხვა, რომელიც გაგვიჩნდება ხოლმე როცა კონფლიქტი წარმოიშობა, ეს არის: „რა არის კონფლიქტის მიზეზი“, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე კითხვა: „რა არ არის სადაო მოწინააღმდეგე მხარეებისათვის“? ეს საშუალებას იძლევა განისაზღვროს მხარეების მოთხოვნილებათა და ფასეულობათა სისტემა. ქვემოთ მოტანილი ხელშეკრულება სწორედ იმის დეკლარირებაა, რაც მომავალი თანხმობის ათვლის წერტილი უნდა გახდეს.

საზოგადოებრივი შეთანხმება

1. საქართველოში მცხოვრები ყოველივე ადამიანის სიცოცხლისა და კეთილდღეობის დაცვა, მათი კულტურული და სულიერი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო მშვიდობის დროს.

სამოქალაქო მშვიდობად შეთანხმების მონაწილეებს მიაჩნიათ საზოგადოებრივი ცხონებიერების ისეთი მდგომარეობა, როცა მიუღებელია ძალადობის ნებისმიერი ფორმა და ნებისმიერი სადაო საკითხი წყდება მშვიდობიანი გზით.

2. საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა, სოციალური წარმომავლობისა, მსოფლმხედველობისა და რელიგიური მრწამსისა უნდა ზრუნავდეს საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებზე.

სახელმწიფო ინტერესებში შეთანხმების მონაწილენი გულისხმობენ: ერის არსებობას თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ეკონომიკისა და ეროვნული კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფას, სამხედრო საფრთხისა და სუვერენიტეტის ხელყოფის საფრთხის თავიდან აცილებას, მოკავშირეთა შეძენის საერთაშორისო არენაზე მომგებიანი მდგომარეობის მიღწევას.

3. შეთანხმების მონაწილენი საქართველოს აღორძინების, მისი მოქალაქეთა თავისუფალი განვითარებისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის აუცილებელ პირობად მიიჩნევენ 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსირებული დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენას.

4. შეთანხმების მონაწილეთ მიაჩნიათ, რომ საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელ-სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო, რომლის კონსტიტუცია და კანონები დაუმყარება ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, საყოველთაოდ მიღებულ ჰუმანურ პრინციპებს.

5. შეთანხმების მონაწილენი აღიარებენ ნებისმიერი ხასიათის კონფლიქტის თავიდან აცილების აუცილებლობას (როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებას, ასევე სხვადასხვა სოციალურ და ეროვნულ ჯგუფებს შორის). კონფლიქტების შემთხვევაში კი აუცილებლად მიგვაჩნია სხვადასხვა მხარის პოზიციათა გათვალისწინებით, მივმართოთ მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც თავიდან ავიცილებთ კონფლიქტთა გამწვავებას და მივალთ ისეთ გადაწყვეტილებამდე, რომელიც დაეკმაყოფილებს „მხარეებს“. ამასთანავე, ყოველი კონფლიქტური სიტუაციის მონაწილე „მხარემ“ უნდა გაითვალისწინოს საერთო ინტერესები საქართველოს მოსახლეობის, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები.

6. შეთანხმების მონაწილენი აღიარებენ ზმა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებისადმი, მათი წარმომადგენლებისადმი, ლიდერებისადმი მიყენებულ საჯარო შეურაცხყოფებს. „იარლიყების მიწებება“ სახელს უტეხს მთლიანად ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, საქართველოს თავისუფლების, დემოკრატიის იდეას და ეარ ემსახურება დასახული მიზნის ასრულებას.

აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების მონაწილენი აუცილებლად მიიჩნევენ ისეთი ურთიერთობის დამყარებას, რომელნიც გამოირჩევიან პოლიტიკური ტაქტით.

7. შეთანხმების მონაწილეთა აზრით, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა ნება უნდა იყოს სახელმწიფო ძალაუფლების საფუძველი.

აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების მონაწილეთ მიაჩნიათ, რომ საქართველოს მოსახლეობის, მოქალაქეთა ნება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ დემოკრატიული, თავისუფალი, არაფალსიფიცირებული არჩევნების საშუალებით.

8. შეთანხმების მონაწილეებს კარგად ესმით, რომ ამჟამად საქართველოს მცხოვრებნი დაყოფილნი არიან საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისადმი დამოკიდებულების მიხედვით: ერთი ნაწილი მომხრეა და აქტიურად იბრძვის ამისათვის, მეორე, ყველაზე დიდი ნაწილი ინდიფერენტულია, ხოლო მესამე ნაწილი, — წინააღმდეგია.

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ამოცანაა სწორედ ინდიფერენტული ნაწილის აქტიურ მებრძოლთა რიგებში ჩაყენება.

9. შეთანხმების მონაწილენი ხედავენ, რომ დემოკრატიული მოძრაობის აშკარა მოწინააღმდეგეთა მეცადინეობით საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს გაუჩნდათ მომავლისადმი შიშისა და უიმედობის გრძნობა, რაც საზიანოა სახელმწიფოებრივი თავისუფლების იდეისათვის. ამიტომ ხელშეკრულების მონაწილეთ მიაჩნიათ, რომ ყველა ეროვნების წარმომადგენლებისათვის მტკიცე გარანტიების მიცემა შეუძლია ზემოთ აღნიშნული არჩევით ორგანოს და არა ცალკეულ პარტიებს, ორგანიზაციებსა თუ პიროვნებებს.

10. შეთანხმების მონაწილეთ აუცილებლად მიაჩნიათ მოლაპარაკების დაწყება ყველა დაინტერესებულ ძალთა შორის საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ. ამასთანავე, აუცილებელია მოლაპარაკების დაწყება სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლთა შორის მომავალი საქართველოს მოქალაქეთა ეროვნული უფლებების შესახებ.

იმ პიროვნებებსა და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ შემოუერთდნენ ჩვენს ხელშეკრულებას, ვთხოვთ მოგვმართონ შემდეგ მისამართზე — დავით აღმაშენებლის პროსპექტი № 103, ტელეფონები: 95-26-52, 96-15-14, 23-27-49.

საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაციის გამგეობის სახელით:

მერაბ მაჭარაძე,
მალხაზ რამიშვილი,
ალექსანდრე რუსეცკი.

ყურადღება!

წელს [illegible] ნებადართული [illegible] თავისუფალ [illegible] გაზეთზე — „[illegible] ნოვოსტი“. ამ გაზეთზე ხელმოწერის გაფორმება შეიძლება „სოიუზპეჩატის“ განყოფილებაში.

გაზეთის ინდექსია 50080

წლიური ხელმოწერის შეღავათიანი ფასია 24 მანეთი, ნახევარწლიურის —12 მანეთი. საცალო ვაჭრობაში ერთი ნომრის ფასია 60 კაპიკი.

ხელმოწერა საჟურნალოდ!

დაიწყო ხელმოწერის მიღება 1991 წლისათვის ცენტრალურ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ სააგენტოებში (განყოფილებებში), ხელმოწერის მიმღებ პუნქტებში, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან სამუშაო, სწავლის, ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე, კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და თბილისის ფოსტამტში.

ხელმოწერა 1991 წლის იანვრიდან ჩაბარებით იწარმოებს 31 ოქტომბრამდე.

მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოთა გამოცემებზე ხელმოწერის დაწყება განზრახულია ა. წ. 15 სექტემბრიდან, ხოლო საზღვაგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე — 1 ოქტომბრიდან.

პრესის გავრცელების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „სოიუზპეჩატი“

მოვლენების კუდში

1990 წლის 26 აგვისტოს ქართველობამ კიდევ ერთი დარტყმა ვიგემეთ — ცნობილი გახდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს წინა დღის სესიის გადაწყვეტილება საქართველოდან აფხაზეთის განდგომის იურიდიული დოკუმენტის შექმნის შესახებ. მართალია, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა აფხაზეთის ეს დოკუმენტები გააუქმა, მაგრამ ამით მხოლოდ უკვე შემდგარ ფაქტზე მოხდა რეაგირება, თვით ფაქტის მომწიფებასა და განვითარებაზე კი გავლენა ვერავინ მოახდინა — ვერც აფხაზეთში მცხოვრებმა დიდი ოდენობის ქართველობამ, ვერც ეროვნულმა მოძრაობამ და ვერც საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ.

ეს პირველი შემთხვევა როდია, რომ ჩვენ მოვლენების კუდში მივჩაჩალებთ: მოხდება რამე და მასზე მერე ვახდენთ რეაგირებას, თვით მოვლენების განვითარებას კი ვერა ვფლობთ. ასე იყო ქვემო ქართლში ე. წ. სამხრეთ ოსეთში და თვით აფხაზეთშიც. ხოლო მომხდარ ფაქტზე რეაგირება იგივეა, რაც უკან მიდევნებული ლამპარი, რომელიც მგზავრს გზას ვერ უნათებს. რად გვემართება ასე, ნუთუ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არ უნდა გააჩნდეს მართვის ისეთი სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც მმართველობა საზოგადოებრივ ვითარებას წარმართავდა და სწორ კალაპოტში მოაქცევდა? ან ჩვენი ეროვნული მოძრაობა რატომ წინ არ უსწრებს მოვლენებს და ფაქტების რეგისტრატორისა და მასზე რეაგირების როლს სჯერდება? ან რას ვაკეთებთ ჩვენ, ქართველი საზოგადოებრიობა, რომ მხოლოდ მომხდარი ხანძრების გამო ვვიშვიშებთ, ხოლო თვით ხანძრის თავიდან აცილებას ვერ ვახერხებთ, საამისოდ თითქმის არაფერს ვაკეთებთ, ანდა ჩვენი ღონისძიებანი უმწეო და უშედეგოა? რატომ, რატომ, რატომ? ეს კითხვები დაფიქრებას და პასუხებს მოითხოვს.

ერთი რამ ცხადზე უცხადესია: კარგი არაფერი გვჭირს, ჩვენი საქმე ცუდადაა. ნებისმიერი ძალა, დიდი იქნება ის თუ პატარა, ჩვენ არა თუ გვაკადრებს და გვიბედავს რაც მოესურვება, არამედ თავის ჭკუაზეც გვათამაშებს. ეს ჩვენი სისუსტის ერთი შთავარი ნიშანია. წინათ, როცა საქართველო საქართველობდა, ვინმე თავს თუ წამოყოფდა და განდგომას მოისურვებდა, ან საქართველოს მთლიანობას ავად თუ შეხედავდა, ქართველი ხელისუფალნი მყისვე ზომებს იღებდნენ და მათს ავ განზრახვას ჩანასახშივე ბოლოს მოუღებდნენ. ასე ხდებოდა არა მარტო დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში, არამედ მერეც — გიორგი ბრწყინვალისა და ერეკლეს დროსაც. მეტის თქმაც შეიძლება: წინათ, როცა საქართველო საქართველობდა, ქვეყნის ხელისუფალთ ძალები ისე ჰყავდათ განლაგებული სახელმწიფოს ტერიტორიის ყველა წერტილში, საქმე ისე ჰქონდათ დაყენებული, რომ იშვიათად თუ ვინმე გაბედავდა ავის განზრახვას და ჩადენას. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ სახელმწიფო დამოუკიდებელი იყო, მას მართვის საკუთარი ინტერესები და სტრუქტურები ჰქონდა, ხელისუფლებას ძალაც შესწევდა და სიბრძნე-გონიერებაც არ აკლდა.

აღნიშნულის გახსენება ზედმეტი არაა, მაგრამ ახლა მთავარია იმაზე ფიქრი, თუ ამჟამინდელ ჩვენს გასაჭირს რა წამალი მოვუძებნოთ, რათა, საქმე ისე დავაყენოთ, რომ ყველამ ჩვენ არ გვიჩაქუნოს თავში. ნუ შევეჩვევით დაჩაგრულისა და დათრგუნულის მდგომარეობას, ჩვენში უნდა გავაღვიძოთ თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობა, რაც თითოეულ ადამიანსა და ყოველ ერსაც ამაღლებს და ამშვენებს.

დღეს რა ვიღონოთ, რომ მოვლენების კუდში არ მივჩაჩალებდეთ? ჩემი ფიქრით, ამ დიდმნიშვნელოვან კითხვაზე ერთი რომელიმე პიროვნების პასუხი ამომწურავი ვერ იქნება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია დაუყოვნებლივ შეიქმნას სწავლულ კაცთა საკრებულო, რომელშიც შევლენ მეცნიერთა, პოლიტიკოსთა, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა პატრიოტულ ძალები, ვისაც საქართველოს უბედობა პირად განცდად ქცევია, ვისაც საქართველოს უბედობა არ აძინებს, ვისაც, წარსულის გათვალისწინებაც შეუძლია, ახლანდელი სიტუაციის განსჯის უნარიც აქვს და სამომავლო გეგმების გათვალისწინებაც ხელეწიფება.

მე ღრმად მწამს, რომ საქართველოში ჭკვიანი, პატიოსანი და თავდადებული ადამიანები ჯერაც არ გამოლეულან. ეგ არის, რომ ისინი განზე დგანან, სამოქმედო ასპარეზზე გაბედულად არ გამოდიან, რადგან სხვანი და სხვანი, მავანნი და მავანნი უფრო იოლად აქტიურობენ.

დღევანდელი საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია, ვისაც საქართველოსათვის სიკეთე სწადია, დაინტერესებული უნდა იყოს სწავლულ კაცთა საკრებულოს არსებობით, რადგან პარტიები მისგან მიიღებენ საჭირო რეკომენდაციებს, რჩევას, მოსაზრებებს. თუ ასეთი საკრებულო იმოქმედებს, მაშინ უეჭველად დაიძებნება ბევრი ჩვენი წყლულის მალამო და ბევრ ჩვენს გაჭირვებასაც ეშველება. ვახტანგ VI თუმც მეფე იყო, მაგრამ მასაც კი არ ეთაკილებოდა სწავლულ კაცთა კომისიის შექმნა, მაშ დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური პარტიების ლიდერებს რატომ უნდა ეთაკილებოდეთ სწავლულ კაცთა საკრებულოს შექმნა და მისი მოსაზრებების მოსმენა-გაზიარება საქართველოსათვის საჭირბოროტო საკითხებზე? ჩემი რწმენით, ჭკვიანი ადამიანის რჩევის მოსმენა არავის აძცირებს.

მართალია, 25 აგვისტოს აფხაზეთში ჩატარებული სესიის დეტალებს ოფიციალური საინფორმაციო წყაროები არ გვატყობინებენ, მაგრამ ზოგი რამის გაგება განსჯით მაინც შეიძლება, მაგალითად, ითქვა, რომ ის დოკუმენტები, სესიაზე ერთხმად მიიღეს. მე მაინტერესებს, როგორ მოხდა ეს. ქართველმა დეპუტატებმაც ხმა მისცეს ამ დოკუმენტების მიღებას? ეს გამორიცხულია. მაშ, ქართველმა დეპუტატებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სესიას და მონაწილეობა არ მიიღეს მის მუშაობაში? თუ ეს ასეა, მაშინ რამდენად გამართლებულია მათი ასეთი მოქმედება? ხომ ჯობდა, ისინი დასწრებოდნენ სესიას და ეკამათათ ამ დოკუმენტების სამართლიანობაზე? გარდა ამისა, და რაც მთავარია, როგორ მოხდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 18%-იან აფხაზობას უმაღლეს საბჭოში დეპუტატთა უმრავლესობა ყავს, ხოლო 45%-იან ქართველობას კი დეპუტატთა უმცირესობა? ვინ და რატომ ჩაიდინა ასეთი უსამართლობა? გარდა ამისა, აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეროვნებასაც ხომ ჰყავთ დეპუტატთა გარკვეული რაოდენობა და ნუთუ მათაც უსამართლო გადაწყვეტილებებს დაუჭირეს მხარი? ამდაგვარი კითხვა-ბევრია, საჭიროა მათზე დაფიქრება და პასუხის დაძებნა. საჭიროა პრობლემათა ღრმა ანალიზი, მათი მასშტაბური შეფასება და გამოსავლის დაძებნა.

დროა ქართველობამ დაძლიოს სისუსტე, რომელიც მას ღრღნის და ღუპავს. საჭიროა შევიმუშაოთ ისეთი სტრატეგია, რომელიც თავიდან აგვაცილებს მოვლენებს კუდში ჩანჩალს და შექმნის ისეთ ვითარებას, როცა მომხდარი ფაქტები კი არ განაპირობებენ ჩვენს მოქმედებას, არამედ ჩვენი მოქმედება წარმართავს ფაქტების მოხდენას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტუაციას ჩვენ უნდა ვფლობდეთ და არა პირუკუ. გავიხსენოთ ანბანური ჭეშმარიტება, რომ ნებისმიერი კუდში ჩანჩალი სასირცხვილოცაა და საზიანოც.

გავუფრთხილდეთ ქართველთა ეროვნულ ღირსებას, ეს ჩვენი მოვალეობაა.

ბარიელ კვანჭილაშვილი

28 აგვისტო, 1990 წ.

თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1990 წლის 30 სექტემბერი საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საგანგებო შეკრება

1990 წლის 31 აგვისტოს თბილისში ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში გაიმართა პარტიის საგანგებო შეკრება, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებდნენ თბილისის, მცხეთის, ქსნის ხეობის, გორის, ხაშურის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, რუსთავის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, სიღნაღის, წითელწყაროს, ქუთაისის, ვანის, ბაღდადის, წყალტუბოს, თერჯოლის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, მარტვილის, სენაკის, ზუგდიდის, ჯვრის, გალის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ბათუმის, ქობულეთის, ფოთისა და სოხუმის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. საგანგებო შეკრების დღის წესრიგი მოიცავდა შემდეგ — საკითხებს:

1. საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები.
2. საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის იდეის პროპაგანდა და მისი განხორციელების სტრუქტურული მექანიზმების შექმნა.
3. პარტიის ორგანიზაციული და სტრუქტურული პრობლემების მოგვარება.

ძირითადი მოხსენებით გამოვიდა ირაკლი წერეთელი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მოცემულ ეტაპზე ბრძოლა უხდება უაღრესად კრიტიკულ პერიოდში. განხეთქილებამ, პოზიციათა, პლატფორმათა სიჭრელემ და აზრთა მკვეთრმა დაპირისპირებამ გარკვეულწილად დააბნია ხალხი, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში საშუხაროდ გაიმარჯვა უზენაესი საბჭოს იდეამ. ერთაშორის დაძაბული ურთიერთობის მოგვარებას ფეხზეთსა და შიდა [illegible] თავი ვერ მოება, ქაოსმა, დანაშაულებებმა და არეულობებმა იმძლავრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სომხეთ-აზერბაიჯანის შეურიგებელმა კონფრონტაციამ გარკვეული საშიშროება მაინც შეუქმნა საქართველოს, გადაუჭრელია უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სოციალური საკითხები. მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ ესოდენ კრიტიკულ ვითარებაში, ერთიანობის უქონლობის გამო, ეროვნული მოძრაობა დღეს-დღეობით ვეღარ წარმოადგენს ისეთ მნიშვნელოვან ძალას, როგორიც იყო იგი 1989 წლის აპრილის გამოსვლებიდან 1990 წლის გაზაფხულამდე. ირაკლი წერეთლის განცხადების თანახმად, ეროვნული მოძრაობის შეფერხების მთავარი მიზეზი იყო ეროვნული ფორუმიდან რიგი პირებისა და ორგანიზაციების თვითნებური გასვლა, რასაც შედეგად მოჰყვა 1990 წლის 13-15 მარტის საგანგებო კონფერენციის შემდეგ გაერთიანებული და გაძლიერებული ეროვნული მოძრაობის შუაზე გახლეჩა და მას შემდგომ შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლო ისეთი გრანდიოზული მნიშვნელობის მქონე მოვლენამაც კი, როგორიც იყო საქართველოს ეროვნული ყრილობა. მაგრამ როგორი მძიმეც არ უნდა იყოს საქართველოში დღეს შექმნილი სიტუაცია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას, როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ სტიმულიზატორსა და უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულს, არა აქვს უკან დახევის, თავისი შეურიგებელი ბრძოლის ძირითადი სტრატეგიული ხაზიდან გადახვევის უფლება. საგანგაშო არაფერია. რაც ხდება საქართველოში, არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის განვითარების ლოგიკური შედეგი, მკვეთრ კონტრასტებსა და დაპირისპირებებში წრთობას განიცდის შეურიგებელი ოპოზიციის პრინციპებზე აგებული ნამდვილი განმათავისუფლებელი მოძრაობა. სწორედ ამიტომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ თანმიმდევრულად, მიზანდასახულად უნდა იაროს წინ თავისი პროგრამული პრინციპებიდან გამომდინარე და მოამზადოს და განახორციელოს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეროვნული მოძრაობის აღმავლობისათვის განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების წარმატებით ჩატარებას. ეროვნულმა მოძრაობამ კარგად უნდა აუხსნას ხალხს კონგრესის არჩევნების დიდი მნიშვნელობა. ირაკლი წერეთელმა ისაუბრა აგრეთვე საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის მომზადებისა და განხორციელების მექანიზმების შექმნისა და პარტიის მიგნით არსებული პრობლემების ირგვლივ.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ თეიმურაზ სუმბათაშვილი, თორნიკე ფიფია, ულდან შელია, ზურაბ ხანგურაშვილი, ავთანდილ კალანდაძე, ტარიელ მახარაძე, გოჩა ღვინიაშვილი, ანზორ სეფერაშვილი, ვალერი კალანდარიშვილი, მევლუდ გოგიაშვილი, მამუკა ქაჯაია და სხვები. მოსმენილ იქნა ინფორმაცია ქსნის ხეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. გადაწყდა, რომ ახალგორის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ფილიალმა მხარი დაუჭიროს აქციას, რომელიც ითვალისწინებს ახალგორის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებას პირდაპირ თბილისისადმი. რაც შეეხება მოთხოვნას ახალგორის ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან გამოყოფის შესახებ, პარტიამ მოთხოვნა ჩათვალა აბსურდულად, გამომდინარე იქიდან, რომ შეურიგებელი ოპოზიცია საქართველოს ტერიტორიაზე საერთოდ არ ცნობს ავტონომიური ერთეულების არსებობის კანონიერებას, ისევე, როგორც არ ცნობს საქართველოს სსრ-დ ყოფნის კანონიერებას და ეგრეთწოდებულ ავტონომიებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა უხდა გადაწყდეს უმთავრესად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ.

გადაწყდა რაიონული ორგანიზაციების რეგიონალურ ორგანიზაციებად გაერთიანება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მცხეთა — თბილისი;
კასპი, გორი, ხაშური;
2. შიდა ქართლის — ახალგორი,
3. ქვემო ქართლის — რუსთავი, გარდაბანი, თეთრიწყაროა;
4. კახეთის — საგარეჯო, გურჯაანი, თელავი,
5. ჰერეთი — სიღნაღი, წითელწყაროა;
6. იმერეთი — ქუთაისი, წყალტუბო, ტყიბული, ვანი, ბაღდადი, თერჯოლა, ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა, ონი;
7. აგრეთვე — მარტვილი, სენაკი, ზუგდიდი, ჯვარი, გალი;
8. გურია-აჭარის — ჩოხატაური, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ქობულეთი ბათუმი.

მოხდა საკოორდინაციო საბჭოს, საორგანიზაციო კომიტეტის, სარედაქციო კოლეგიისა და სოციალურ პროპლემათა სამსახურის რეორგანიზაცია. გადაწყდა, ყოველ ხუთშაბათს, საღამოს ექვს საათზე პარტიის გაფართოებული კრების მოწვევა, სადაც დასწრება სავალდებულოა პარტიის რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მცხეთა-თბილისის რეგიონალურ ორგანიზაციაში შემავალი ყველა პირველადი, ორგანიზაციებისათვის.

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების შესახებ აგიტაცია-პროპაგანდის გაწევის მიზნით, დაიგეგმა გასვლები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული ერთიანობისა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბენერალურ მდივანს ბატონ ჰავიერ პერეს დე კუელიარს

მოგმართავთ 25 საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ისტორიის მქონე ქვეყნის — საქართველოს ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის სახელით.

ბედის უკუღმართობამ უძველესი კულტურის მქონე ეს პატარა ქვეყანა, თავის 5,5 მილიონი მოსახლეობით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად წოდებული იმპერიის ფარგლებში მოაქცია, 1921 წლის თებერვალში, ერთა ლიგის მიერ აღიარებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიარაღებული აგრესიის "ინტერვენციის გზით ოკუპირებულ, ხოლო შემდგომ ანექსირებულ იქნა ბოლშევიკური რუსეთის მიერ, რასაც, მრავალ ისტორიულ დოკუმენტთან ერთად, ადასტურებს საქართველოს ე. წ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტისა და 20 ივნისის დადგენილებები.

მოგახსენებთ, რომ საქართველოში, დღიდან მისი დაპყრობისა, მთელი განვლილი 69 წლის მანძილზე არ შეწყვეტილა ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა — ქართველი ერის ნებაა!

საქართველოს ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრს, რომელშიც გაერთიანებულია 40-ზე მეტი პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მიაჩნია, რომ კრემლთან არსებული მკვეთრი დაპირისპირების პირობებში, ვითარების შემდგომი გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია შეიქმნას დემოკრატიული მექანიზმი, რომელიც უფლებამოსილი იქნება გამოხატოს ერის ნება საერთაშორისო სამართლის წინაშე.

ხსენებული მიზნის განხორციელებისათვის, საქართველოს ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრს განზრახული აქვს ამა წლის 30 სექტემბერს მოაწყოს ერის ნების გამომხატველი ორგანოს — ეროვნული კონგრესის — არჩევნები საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭისყრით. აქვე უნდა აღინიშნოს, რონ ეროვნულ კონგრესს არ ექნება პრეტენზია ხელისუფლებაზე, რადგან ამგვარი რამ ოკუპაციისა და შეიარაღებული აგრესიის ქვეშ ყოფნის პირობებში აბსურდად მიგვაჩნია.

ვინაიდან 1990 წლის 23-25 მაისს გამართული ეროვნული ყრილობის მიერ დამტკიცებული საარჩევნო კანონის მიხედვით მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობით არჩეული საქართველოს ეროვნული კონგრესი იქნება ის ორგანო, რომელიც საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს ქართველი ერის ნებას, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ 30 სექტემბრის არჩევნებზე დაწესდეს საერთაშორისო ზედამხედველობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, მოავლინოთ თქვენი ექსპერტები, რათა ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ორგანოს არჩევნები, რომელიც ჩატარდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული ყველა წესის დაცვით, დაექვემდებაროს მკაცრ და ამავე დროს ობიექტურ კონტროლს, რაც იქნება გარანტი შემდგომი, მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილებისა.

ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი

მერაბ ალექსიძე,

ეროვნულ-დემოკრატიული და დემოკრატიული პარტიების საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარე

გიორგი ჭანტურია,

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარე

ირაკლი წერეთელი,

საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველოს“ სახელით

გურამ ბერიშვილი,

მიმართვა მიღებულია საკოორდინაციო ცენტრის სხდომაზე.
სხდომის თავმჯდომარე
გიორგი კობახიძე.

4 სექტემბერი,
1990 წელი.

ამავე შინაარსის მიმართვები გაეგზავნათ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატას და ევროპარლამენტს.

ჩვენი წარდგინება

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უხუცესი პოლიტიკური ორგანიზაციაა.

პარტიის პირველი ყრილობა გაიმართა 1917 წლის ივნისში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი თავმჯდომარე იყო სპირიდონ კედია.

დამოუკიდებლობის პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გახლდათ საპარლამენტო პარტია, ხოლო ოკუპაციის შემდეგ სწორედ ეროვნულ-დემოკრატებმა წამოიწყეს შეიარაღებული ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ.

1924 წლის აჯანყებაში ეროვნულ-დემოკრატები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ პარტიამ საქართველოს ტერიტორიაზე შეწყვიტა არსებობა: ეროვნულ-დემოკრატთა დიდი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს, მცირე ნაწილი კი საზღვარგარეთ აგრძელებდა მოღვაწეობას.

1981 წელს მოხდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რეგისტრირება თბილისში, ხოლო 1983 წელს შედგა პირველი პარტიული დოკუმენტი.

1988 წლის ნოემბრის აქციის ორგანიზატორები ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ. სწორედ ამ აქციის შემდეგ მიიღო ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ ასეთი მასშტაბები.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ ექვსი დაპატიმრებულიდან, სამი ეროვნულ-დემოკრატი იყო (გიორგი ჭანტურია, ვანო ხუხუნაიშვილი, ირინა სარიშვილი), რითაც ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ შიშს, რაც მას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმართ გააჩნდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (აღდგენის) დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა თბილისში, 1988 წლის ნოემბერ-დეკემბერში. პარტიის მეორე ყრილობა (კონგრესი) გაიმართა 1989 წლის 25—26 ნოემბერს. ყრილობებზე დამტკიცდა მთავარი კომიტეტის შემადგენლობა, მიღებულ იქნა პროგრამა-წესდება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი:

თავმჯდომარე — გიორგი ჭანტურია, ედპ-ს წევრი 1981 წლიდან;

პოლიტიკური მდივანი — მამუკა გიორგაძე, ედპ-ს წევრი 1981 წლიდან;

პარტიის მდივანი — გურამ ჩახვაძე, ედპ-ს წევრი 1981 წლიდან;

პრეს-მდივანი — ირინა სარიშვილი, ედპ-ს წევრი 1988 წლიდან;

საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი — თენგიზ გუდავა, ედპ-ს წევრი 1988 წლიდან;

ვანო ხუხუნაიშვილი — ედპ-ს წევრი 1987 წლიდან;

გიორგი ახალაია — ედპ-ს წევრი 1988 წლიდან;

დავით კვარაცხელია — ედპ-ს წევრი 1982 წლიდან.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის III ყრილობა გაიმართება 1990 წლის ნოემბერში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს დემოკრატიული პარტია ერთიანი საარჩევნო ბლოკით გადიან ეროვნული კონგრესის არჩევნებზე.

ეროვნული ინფორმაციული ბიულეტენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი ჯანმრთელი რომ იყოს

1990 წლის 27 აგვისტოს შედგა მრგვალი მაგიდის საგანგებო შეხვედრა. შეხვედრა მიეძღვნა რესპუბლიკის მოსახლეობის ხარისხიანი, როგორც საკვები ასევე სხვადასხვა დანიშნულების პროდუქციით მომარაგების საქმეს.

მრგვალი მაგიდის შეხვედრას დაესწრნენ "შემდეგ" დაწესებულებების წარმომადგენლები: 1. ო. ნარმანია — მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 2. თ. ჯაბადარი — თბილისის აგრომრეწვის თავმჯდომარე, ქ. თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 3. ტ. სრესელი — „ცეკავშირის" ლაბორატორიის გამგე. 4. მ. კავილაძე — სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის გამგე, დოცენტი, 5. ი. ფალავა — რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმი, 6. ს. კირთაძე — რესპუბლიკური სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი, 7. ნ. კაკაბაძე — რესპუბლიკური სანეპიდსადგურის მთავარი ექიმის მოადგილე, 8. დ. გაგუა — ქ. თბილისის საქალაქო სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი, 9. ნ. ცქიტიშვილი — საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევართვარის საზოგადოების თავმჯდომარე, 10. მ. გრიგალაშვილი — საქალაქო სანეპიდსადგურის კვების ჰიგიენის განყოფილების გამგე, 11. მ. ჩხიკვაძე — წმინდა ილია მართალის საზოგადოების ეკოლოგიური სექციის ხელმძღვანელი, 12 თ. დარჩია — სახალხო ფრონტის წევრი.

შეხვედრას უძღვებოდა სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მართალის საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია.

ინფორმაციით ზემოთ აღნიშნულ საკითხზე გამოვიდა წმინდა ილია მართალის ეკოლოგიური სექციის ხელმძღვანელი მ. ჩხიკვაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ 1986 წლიდან (ჩერნობილის აფეთქების შემდეგ) დღემდე, საქართველო გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობას აწარმოებს უკრაინასთან, ბელორუსიასთან და რუსეთის იმ ოლქებთან, რომლებმაც განიცადეს ჩერნობილის ზეგავლენა. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ხორცის და რძის პროდუქტების, ცხოველური ცხიმის, კვერცხის, მშრალი რძის ძირითადი მომწოდებლები ეს რეგიონები არიან. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს რეგიონები დღეს უბედურების ზონადაა გამოცხადებული. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარული სამსახური თანამედროვე, ზემგრძნობიარე, უცხოური აპარატურის უქონლობის გამო, ვერ ატარებს შემოზიდული, როგორც საკვები, ასევე სხვა დანიშნულების პროდუქციის შერჩევით შემოწმებასაც კი. უწყებრივი კონტროლი რესპუბლიკაში შემოზიდული პროდუქციის ხარისხზე (ისიც მხოლოდ საკვებ პროდუქტებში) დაიწყო მხოლოდ 1990 წლის მარტის თვიდან, სახაგრომრეწვის რადიოლოგიური ინსტიტუტის მიერ. თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგლამენტით ვერასდროს ვერ მოხერხდება შემოზიდული პროდუქციის ყოველი კილოგრამის შემოწმება, არ არის გამორიცხული, რომ მოსახლეობაში შეაღწიოს რადიონუკლიდებით დაბინძურებულმა პროდუქციამ, როგორც ეს მოხდა ამ წლის მარტისა და აპრილის თვეში. შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ და სწორ გადაწყვეტილებად მიგვაჩნია ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტა ზემოთადნიშნულ რეგიონებთან. შესაბამისმა უწყებებმა წარმოქმნილი სავაჭრო დეფიციტის შესავსებად დღეს ვუნდა დაიწყოს მოლაპარაკება, როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებთან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებთან, რომლებმაც არ განიცადეს ჩერნობილის ზეგავლენა. წინააღმდეგ შემთხვევაში წმინდა ილია მართალის საზოგადოების ეკოლოგიური სექცია სთხოვს მრგვალ მაგიდას, რათა მან მოუწოდოს საქართველოს მთელ მოსახლეობას გაფიცვებისა და მანიფესტაციებისაკენ იმ მიზნით, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთილ იქნეს საქართველოს მოსახლეობის მიმართ წარმოებული ბიოლოგიური ომი.

რესპუბლიკის მთავარმა სახელმწიფო სანიტარულმა ექიმმა ბატონმა ი. ფალავამ აღნიშნა, რომ უკანასკნელ დრომდე, სანამ საქართველოში ფართოდ გაიშლებოდა ეროვნული მოძრაობა, ისევე როგორც ყველა სხვა უწყება, რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარული სამსახურიც დათრგუნული იყო, რამაც შესაძლებელი გახადა უკრაინიდან, ბელორუსიიდან და რუსეთის იმ ოლქებიდან, რომლებმაც განიცადეს ჩერნობილის ზეგავლენა, საქართველოში მასიურად შემოზიდულიყო რადიონუკლიდებით დაბინძურებული პროდუქცია. სამსახური წინ ვერ აღუდგა საკვებ პროდუქტებში, რადიონუკლიდების შემცველობის საკავშირო ბარბაროსულ ნორმატივებს. მხოლოდ 1990 წლის აპრილის თვეში გახდა შესაძლებელი რათა ზემოთადნიშნული ნორმატივები მიგვეახლოვებინა საერთაშორისო ნორმებისათვის.

ქ. თბილისის საქალაქო სანეპიდსადგურის მთავარმა ექიმმა ბატონმა დ. გაგუამ აღნიშნა, რომ არანაკლები მნიშვნელობის პრობლემაა უნიტრატო და უშხამქიმიკატო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება. ქალაქის სანიტარული სამსახურის მიერ აღნიშნულ პრობლემაზე საკითხი ორჯერ 1990 წლის თებერვლისა და აგვისტოს თვეში გატანილი იქნა საქალაქო აღმასკომის სხდომაზე. გაურკვეველი მიზეზების გამო საკითხი ორივეჯერ მოიხსნა განხილვისაგან. მომზადებულ საკითხში კი თბილისის აგრომრეწვის, თბილისის სამოსამსახურო საზოგადოებაში შემავალი საკოლმეურნეო ბაზრები და ვეტერინარული სამსახურის მუშაობა, მოსახლეობისათვის ხარისხიანი საკვები პროდუქტების მიწოდების საქმეში ჩაითვალა არადამაკმაყოფილებლად. რადიონუკლიდებისაგან სუფთა საკვები პროდუქტების მოსახლეობისათვის მიწოდების უზრუნველსაყოფად, საქალაქო სანეპიდსადგურმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც საკოლმეურნეო ბაზრებსა და კოოპერატივებს ეკრძალებათ ისეთი ხორცის მისი სუბპროდუქტების, რძე და რძის პროდუქტების, სოკო და სხვ. რეალიზაცია, რომელიც არ იქნება შემოწმებული რადიონუკლიდების შემცველობაზე. ორატორმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ქალაქის სანეპიდსამსახურის არადამაკმაყოფილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო ჭირს შემოზიდული პროდუქტების ხარისხის შერჩევითი შემოწმების ჩატარება. მდგომარეობას მკვეთრად გაუმჯობესებდა საქალაქო სანეპიდსადგურის ეზოს ტერიტორიაზე დამთავრების სტადიაში მყოფი 7-სართულიანი კორპუსის ქალაქის სანეპიდსადგურისათვის გადაცემა. მაშინ ქალაქის 10 რაიონში გაფანტული დაქუცმაცებული ლაბორატორიები გაერთიანდებოდნენ ამ შენობის ბაზაზე, რაც მკვეთრად გაუმჯობესებდა ლაბორატორიული კვლევის ხარისხს. ბატონმა დ. გაგუამ თანადგომა სთხოვა მრგვალ მაგიდას და ბატონ ი. ფალავას ამ საქმეში.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ბატონმა ი. ნარმანიამ აღნიშნა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნები პროდუქციის მოსავლიანობის გაზრდის მიზნით, მინერალურ სასუქებს, შხამქიმიკატებს და პესტიციდებს ჩვენზე დიდი რაოდენობით ხმარობენ, მაგრამ იმ ქვეყნებში ზედმიწევნით ზუსტად იცავენ სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მოყვანის აგროწესებს და მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების და პესტიციდების მოხმარების რეგლამენტს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის გამგემ, დოცენტმა მ. კავილაძემ გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საკავშირო აერორადიოლოგიურმა სამსახურმა ქ. თბილისში ჩაატარა ქალაქის ტერიტორიის რადიოლოგიური კვლევითი სამუშაოები. გამოკვლევებმა მეტად დამაფიქრებელი შედეგები აჩვენა. დაბინძურებული აღმოჩნდა არსენალის მიმდებარე ტერიტორია და ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის ეზოს ტერიტორია (ყოფილი ონკოცენტრი). ცეზიუმ-137-ით დაბინძურებული აღმოჩნდა ბილიკი, რომელზეც წლების განმავლობაში დადიოდნენ და თამაშობდნენ ბავშვები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის უმცროს მეცნიერ მუშაკმა ქალბატონმა მ. სიხარულიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა პერსონალურად აგოს პასუხი სახელმწიფო სანეპიდსამსახურის იმ მესვეურმა, რომელმაც გასცა ნებართვა, რათა ონკოცენტრის (ყოფილ) შენობაში განთავსებულიყო ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი. ანდა რატომ თავის დროზე არ ჩატარდა რადიოლოგიური კვლევითი სამუშაოები, ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ ონკოლოგიურ ცენტრებში სხივური მკურნალობისათვის იყენებენ მოკლე ნახევარდაშლის პერიოდიან რადიაქტიურ ელემენტებს. ბატონმა მ. კავილაძემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის და რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში კვლევით დაწესებულებებში არ არის გამორიცხული, რომ უქმად იდგეს ძვირადღირებული იმპორტული დანადგარები, რომლებზეც შეიძლება ჩატარდეს ასე აუცილებელი რადიოლოგიური გამოკვლევები. უნდა მიკვლეულ იქნეს ასეთი ხელსაწყოიარაღები მათი მაქსიმალურად დატვირთვის მიზნით.

რესპუბლიკის სანეპიდსადგურის მთავარმა ექიმმა ბატონმა ს. კირთაძემ აღნიშნა, რომ სხვადასხვა ნივთიერებების ნორმირების საკითხი მთლიანად ხელში აქვს აღებული საკავშირო ს/კ ინსტიტუტებს, ხოლო რესპუბლიკას რჩება მხოლოდ ის, რომ პრაქტიკულად იხელმძღვანელოს ამ ნორმატივებით. მანვე აღნიშნა, რომ ყოველი თხოვნა რესპუბლიკის ს/კ დაწესებულებების მიმართ ამ საკითხებში დახმარების აღმოჩენისათვის რჩება უყურადღებოდ.

ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელმა, აღუთქვა მრგვალ მაგიდას, რომ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო აღარ ივაჭრებს უკრაინასთან, ბელორუსიასთან და რუსეთის იმ ოლქებთან, რომლებმაც განიცადეს ჩერნობილის ზეგავლენა და ყველაფერს იღონებს, რათა რესპუბლიკა მოამარაგოს მაღალხარისხოვანი საკვებით და ყოველგვარი სხვა დანიშნულების პროდუქციით.

შეაჯამა რა მრგვალი მაგიდის საგანგებო შეხვედრის შედეგები, ბატონმა ზ. გამსახურდიამ აღნიშნა, რომ თუ სათანადო უწყებები არ შეწყვეტენ სავაჭრო ურთიერთობას უკრაინასთან, ბელორუსიასთან და რუსეთის იმ ოლქებთან, რომლებმაც განიცადეს ჩერნობილის ზეგავლენა და რომლებიც უბედურების ზონად არიან გამოცხადებული, მაშინ მრგვალ მაგიდას და მთლიანად ეროვნულ მოძრაობას ეყოფა ძალა, რათა სრულიად საქართველოს მასშტაბით მიმართოს მძლავრ მანიფესტაციებს, რათა აიძულოს სათანადო უწყებები დაჰყვნენ ერის ნებას.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოითქვა ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის ეზოსა და არსენალის მიმდებარე ტერიტორიის რადიაქტიური ნივთიერება ცეზიუმ-137-ით დაბინძურების თაობაზე, ერთიც და მეორეც სათანადო უწყებების დოყლაპაობით არის გამოწვეული. ვინაიდან მომავალში არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს მიმართ ჩატარდეს დივერსიული აქტები, ამიტომ სათანადო დაწესებულების, ფაბრიკა-ქარხნების, ინსტიტუტების ხელმძღვანელებს განსაკუთრებული სიფხიზლე მართებთ უბედურების თავიდან აცილების მიზნით. ხოლო სანეპიდსამსახურმა მკვეთრად უნდა აამაღლოს საზედამხედველო ობიექტების მიმართ სახელმწიფო სანიტარული მეთვალყურეობა. არ უნდა იყოს ურიგო თუ განსაკუთრებული სახელმწიფო დანიშნულების ობიექტებში შეიქმნება ობიექტის დაცვის შტაბები.

საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე"

3 აგვისტო, 1990 წ.

კონტაქტები

ჩვენი ახალი მეგობრები

საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ შეიქმნა, მაგრამ უკვე მოასწრო სასიკეთო საქმეების გაკეთება: ერთ-ერთი იყო ის, რომ მათი დახმარებით დასავლეთ გერმანიაში სამკურნალოდ გაემგზავრა 9 აპრილის ღამეს მოწამლული ბავშვები.

ამჟამად კი შედგა ამ კომიტეტის ოფიციალური საქმიანობის დებიუტი — საქართველოში სტუმრად მოიწვიეს დასავლეთ გერმანიის ქალაქ დილინგენის ახალგაზრდა კათოლიკეთა ორგანიზაციის წევრები, სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდები, რომლებმაც შექმნეს მგალობელთა გუნდი და საკუთარი სურვილით გალობენ კათოლიკურ ეკლესიაში.

ვიდრე გერმანელ სტუმრებსა და მათ შთაბეჭდილებებს გაგაცნობდეთ, ჩვენ ვთხოვეთ მათ მასპინძელს, **საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტის თავმჯდომარეს ვასილ ვასაძეს ორიოდე სიტყვით მოეთხრო ამ ორგანიზაციის შესახებ:**

— ჩვენი კომიტეტი ცდილობს კონტაქტები დაამყაროს მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ქვეყანასთან საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში. ეს ორგანიზაცია ადრე არსებობდა კომკავშირის ცეკასთან, მაგრამ ამა წლის მაისში ჩავატარეთ კონფერენცია და გამოვეყავით მას. ასე გავზდით დამოუკიდებელი ორგანიზაცია. რასაკვირველია, ამის შემდეგ სავსებით შეიცვალა ჩვენი სტრუქტურაც. ახლა კომიტეტის წევრია 42 ორგანიზაცია და სწორედ ისინი გვაფინანსებენ. ჩვენი მიზანია საქართველოს ახალგაზრდობის სახელით საერთაშორისო ასპარეზზე გავიტანოთ ჩვენი ქვეყნის კულტურის მიღწევები სხვადასხვა დარგში.

რაც შეეხება პერსპექტიულ გეგმებს, ჩაფიქრებული გვაქვს 12-19 სექტემბერს თბილისში მოვაწყოთ გერმანელი ახალგაზრდების ფესტივალი, ახლო მომავალში შვეიცარიის ერთ-ერთ ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან ვამზადებთ სესიას ნაციონალიზმის თემაზე; ასევე გადაწყვეტილია ახალგაზრდა არქიტექტორების გაცვლა...

ახლა კი სტუმრებს მოვუსმინოთ:

ანდრიას ბროსი, დილინგენის ახალგაზრდა კათოლიკეთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პედაგოგი:

— საქართველოში პირველად ვარ. გამაოცა თქვენი ქვეყნის მრავალფეროვნებამ, განუმეორებელმა ბუნებამ, სამწუხაროა, რომ ისე არ უვლით, როგორც ეს მის სილამაზეს შეეფერება, თუმცა ეკოლოგიური პრობლემები დღეს მთელ მსოფლიოს აწუხებს...

თბილისში ყოფნისას ხშირად ვესწრებოდი მიტინგებს. ჩემი აზრით, საქართველოს ჯერ კიდევ აკლია პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება, დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად მოთმინებაა საჭირო.

ყველანი მოხიბლულნი ვართ ქართველი ერის სტუმართმოყვარეობით, სიკეთითა და სითბოთი. აქამდე ჩვენი ორგანიზაციის წევრებს საქართველოს შესახებ ზოგადი წარმოდგენა მიღებული ჰქონდათ დასავლეთ გერმანიაში გამოცემული იოსან ლაუბის წიგნით. ახლა ყველას ერთის თქმა თუ შეგვიძლია — შთაბეჭდილებებმა მოლოდინს ასჯზის გადააჭარბა...

ქ. დილინგენის ახალგაზრდა კათოლიკური ორგანიზაციის ემბლემა.

მარტინ ბრული, დილინგენის ახალგაზრდა კათოლიკეთა ორგანიზაციის წევრი, ეკონომისტი:

— ჩვენ ვიცით, რომ ქართველები იბრძვიან თვითგამორკვევისათვის. ღმერთმა ინებოს მათი ოცნების ახდენა — თავისუფლების მოპოვება. ვიცი, რომ ოქტომბერში თქვენთან უნდა ჩატარდეს ეროვნული არჩევნები, ვისურვებდი არჩეული იყოს ისეთი პარლამენტი, რომელიც საქართველოს კეთილდღეობას წაადგება.

ჩვენ მოვიარეთ ყაზბეგი, ფასანაური, გუდაური და ბოლოს კახეთი. ბედნიერები ხართ, რომ ეს თქვენი შშობლიური მიწაა...

მადლიერებით აღვსილი სტუმრები ახლახანს გაემგზავრნენ თავიანთ სამშობლოში. ამით, რასაკვირველია, არ დასრულდება ქართველი და გერმანელი ახალგაზრდების ურთიერთობა. საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტი კიდევ ბევრი საინტერესო შეხვედრის, მეგობრული და კულტურული კონტაქტების დამყარების ინიციატორი გახდება.

ნამუკა ბაკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ აფხაზეთის „ანექსიის“ შესახებ

გაზეთ „აფსნი ყაფშ“, 1990 წლის 26 ივნისის № 120 სარედაქციო სტატია „ბარდაქმნის გზა იოლი არ არის“ (თარგმანი)

შკითხველს მოეხსენება, რომ ამჟამად აფხაზი ინტელიგენციის ერთი ნაწილი აღარაფერს ერიდება, რათა კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება აფხაზეთში. ამ თვალსაზრისით ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბეს აფხაზეთის ახსრ უზენაესი საბჭოს აფხაზმა დეპუტატებმა, რომლებმაც 25 აგვისტოს აფხაზეთის საქართველოსაგან დამოუკიდებლობაც კი გამოაცხადეს. ამ „ისტორიული აქტისათვის“ მზადება დიდი ხნის წინათ იყო დაწყებული (ყოველ ათ წელიწადში ერთხელ განმეორებული აქციები, უბადაღებული „აფხაზური წერილი“, ლიხნის შეკრების რეზოლუცია, გაზეთების — „აფსნი ყაფშის“, „ბზიფის“, „აიდგილარახა“ და „ედინენიეს“ პუბლიკაციები, აფხაზური ტელევიზიის გადაცემები და ა. შ.). ინტენსიურად მიმდინარეობს ანტიქართული განწყობილების გაღვივება უბრალო მშრომელებში, რისთვისაც არ ერიდებიან ისტორიული ფაქტების უსირცხვილოდ გაყალბებას. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია აფხაზური გაზეთის „აფსნი ყაფშის“ 26 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია „ბარდაქმნის გზა იოლი არ არის“, რომელიც ფაქტობრივად აფხაზეთის ახსრ უზენაესი საბჭოს 25 აგვისტოს გადაწყვეტილებისთვის საზოგადოებრივი აზრის მომზადების ცდას წარმოადგენს.

იქნებ არც ღირდა ამ სტატიაში დასმულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ქართველმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რას და როგორი კეთილსინდისიერებით წერენ აფხაზურ პრესაში. ამიტომ გთავაზობთ დასახელებული სტატიის ნაწყვეტის თარგმანს ჩვენი კომენტარითურთ.

„როგორც ცნობილია და როგორც საქართველოში დაადგინეს, იქ 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება არასწორი მოვლენაა. წითელმა არმიამ იარაღით, ძალით მოაშთო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. ამის გამო საქართველო იძულებით, იარაღის გამოყენებით იყო ანექსირებული. ჩვენ არ ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რამდენად მართალია ეს. ოღონდ რაკი სიტყვა ანექსია იქნა ნახმარი, აქ პირდაპირ უნდა ითქვას, თუ ვინ იყო მართლა ანექსირებული. როგორც ცნობილია, 1918 წლის 7 აპრილიდან 17 მაისამდე აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული. იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიაში მხოლოდ ორგან — ბაქოსა და აფხაზეთში — იყო გამოცხადებული. მენშევიკური საქართველოს არმია საბჭოთა აფხაზეთს თავს დაესხა და სისხლით დააშხო საბჭოთა ხელისუფლება. ერთი სიტყვით, თუ ისე ვიტყვით, როგორც ეს ისტორიულად მოხდა, აფხაზეთს ანექსია უყვეს. ამითვე დაამტკიცეს (მენშევიკებმა — თ. გ.), თითქოს (აფხაზეთი) საქართველოს ნაწილია. თუ ისტორიულ სიმართლეზე ვილაპარაკებთ, აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არასოდეს ყოფილა. ეს რომ ასეა, გვიჩვენებს ის, რომ თუ საქართველო რუსეთს ცალკე შეუერთდა, აფხაზეთი რუსეთს 1810 წელს შეუერთდა. რაკიღა ასეა, სწორი არ არის აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა, ამას ისტორიულად არავითარი გამართლება არა აქვს. შემთხვევითი არ არის, რომ როცა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკად იქცა, ხოლო შემდეგ, ათი წლის განმავლობაში, 1931 წლამდე აფხაზეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების „მიხედვით აფხაზეთი იყო სსრ“.

კომენტარი

აქ თითქმის ყოველი წინადადება სრული სიცრუე ან ნახევარსიმართლეა. მძიგეული თავიდან:

1. პირველივე წინადადება ისეა აგებული, რომ სიტყვები „საქართველო“ და „იქ“ მკითხველს არწმუნებს — საქართველო არ გულისხმობს აფხაზეთს. გაზეთის რედაქციამ „დიდი პატრიოტული“ საქმე გააკეთა, აფხაზეთი გამოყო საქართველოსაგან.

2. 1918 წლის 7 აპრილიდან 17 მაისამდე აფხაზეთში ბოლშევიკთა **სამხედრო ჩარევით** დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. იმ წლის 11 თებერვალს ბათუმში, 20-23 თებერვალს კი ქუთაისში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკთა კონფერენცია, სადაც გადაწყდა შეიარაღებული აჯანყების დაწყება. თებერვლის შუა რიცხვებში სოხუმში სცადეს აჯანყება, რასაც ხელი შეუწყო ქალაქში ტრაპიზონიდან მომავალი რუსული სამხედრო გემების შემოსვლამ. აფხაზეთში შექმნილი **სამხედრო**-რევოლუციური კომიტეტი ე. ეშბას მეთაურობით აცხადებდა, რომ ვინც წინააღმდეგობას გასწევდა, «...будет предан военно-революционному суду». თებერვლის აქცია ბოლშევიკებს ჩაეშალათ, მაგრამ აპრილში **იერიშით** აიღეს სოხუმი და საბჭოთა ხელისუფლება „ძვიდობიანად“ დაამყარეს. ადგილობრივ ბოლშევიკებს ამ საქმეში ეხმარებოდნენ **რუსული წითელი არმიის ნაწილები** (სოჩიდან ჩამოვიდა წითელგვარდიელთა რაზმი ნ. პოიარკოს მეთაურობით, ტუაფსიდან — ი. რუდის მეთაურობით), რაც პირდაპირი ანექსიის კიდევ ერთი მაგალითი იყო (იხ. «История Абхазской АССР», სოხუმი, 1981, გვ. 30 და შემდგომნი).

3. 1918 წლის 7 აპრილიდან 17 მაისამდე პერიოდში „მენშევიკური საქართველო“ **არ არსებობდა**. ამ დროს ამიერკავკასიის ჯერ კიდევ **სეიმი** განაგებდა, მხოლოდ 9 დღის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ასევე არ ყოფილა მენშევიკური (მთავრობაში მენშევიკებთან ერთად სხვა პარტიათა წარმომადგენლებიც შედიოდნენ). სხვათა შორის, ოფიციალური ცნობა დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის შექმნის შესახებ სოხუმში **ივნისის** დასაწყისშიღა გამოქვეყნდა. ასე რომ, 17 მაისს ბოლშევიკთა უკანონო ხელისუფლება ამიერკავკასიის სეიმმა დაამხო. „აფსნი ყაფშის“ რედაქციას მისამართი შეეშალა.

4. „უცოდველი“ ბოლშევიკების „უდანაშაულობა“ ჩანს შემდეგი ფაქტებიდანაც: როცა ძალიან გაუჭირდათ და მიხვდნენ, სხვა საბჭოეთის სამხედრო ჩარევით დამყარებული „ხელისუფლება“ მალე დაემხობოდა, ე. ეშბა 11 მაისს ლენინსა და ორჯონიკიძეს სამხედრო დახმარებას სთხოვდა. კერძოდ, იგი იხვეწებოდა, მიეცათ განკარგულება ნოვოროსიისკში მყოფი შავი ზღვის ფლოტის სარდლის საბლინისათვის, სამხედრო გეგმები გაეგზავნა სოხუმში.

16 მაისს საბლინისათვის გასაგზავნი დეპეშის პროექტში ლენინი გაოცებული წერდა:

«...Предписываем Вам немедленно вооружить ряд наших торговых судов... двинуть на юг для защиты Сухума».

5. ამიერკავკასიის სეიმის ჯარების გამარჯვების შემდეგ აფხაზეთში დაიწყო კომუნის ორგანიზატორთა დევნა, რაც შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა განაგრძო, მაგრამ ამაში უცნაური არაფერია. არც ერთ სახელმწიფოში თავზე ხელს არ უსვამენ სხვა სახელმწიფოს აგენტებსა და აგრესიის ხელის შემწყობთ. ბოლშევიკები კი წითელი რუსეთის **აგრესიის ორგანიზატორები** იყვნენ. თუ ანექსიაზეა ლაპარაკი, წითელი არმიის სოჩისა და ტუაფსის ნაწილები იყვნენ **ანექსიის მომწყობნი** და რევოლუციის ექსპორტიორები სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო სეიმისა და შემდგომში საქართველოს რესპუბლიკის ჯარები იცავდნენ საკუთარი სახელმწიფოს წყობასა და ტერიტორიას.

6. უბრალოდ არასერიოზული და სასაცილოა „აფსნი ყაფშის“ რედაქციის მტკიცება, თითქოს აფხაზეთი არასოდეს ყოფილიყოს საქართველოს ნაწილი. ამ საკითხზე მათ შეეძლოთ წაეკითხათ თვით **აფხაზ ისტორიკოსთა** ნაშრომები, სადაც **მრავალგზის** არის ნათქვამი, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი იყო და არის. ავტორთა და ნაშრომების დასახელებაც კი უხერხულია ამგვარი უვიცობის ფონზე.

ასევე ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული სტატიის ავტორთა „წყალგაუვალი“ არგუმენტი რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით. ჯერ ერთი, საქართველო რუსეთს არ შეერთებია, იგი მოტყუებითა და იარაღის ძალით დაიპყრეს. მეორე, თუ ავტორთა ლოგიკას მივყვებით, მაშინ საქართველო მხოლოდ ქართლ-კახეთი ყოფილა, რაკი იგი ყველაზე ადრე, 1801 წელს დაიპყრო რუსეთმა, სხვა მხარეები კი მოგვიანებით. მაგალითად, საქართველო აღარ ყოფილა სამეგრელო, რაკი იგი 1801 წელს კი არა, 1803 წელს დაიპყრო ცარიზმმა, საქართველო არ ყოფილა არც იმერეთი და გურია, რაკი ისინი რუსეთმა აფხაზეთთან ერთად 1810 წელს შეიერთა, აღარაფერს ვამბობთ სვანეთზე (სამთავრო გაუქმდა 1858 წელს), აჭარაზე, ტაო-კლარჯეთსა, ლაზეთსა და სამცხე-ჯავახეთზე (რუსეთმა 1878 წელს რომ შემოიერთა ნაწილობრივ).

7. აფხაზეთის **ხელახალი ანექსია** მთელ საქართველოსთან ერთად 1921 წელს მოხდა. რუსეთის IX არმიამ აფხაზეთი ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. არავითარი სახალხო აჯანყება იქ არ მომხდარა. **ხალხს ხელიანად არ ეხმოდა, რა იყო საბჭოთა ხელისუფლება** და რუსი ბოლშევიკები გზადაგზა ბრძოლებს შორის „ანათლებდნენ“ მოსახლეობას.

მაგალითად, გუდაუთის აღების შემდეგ IX არმიის 274-ე პოლკის უფროსმა ს. სემიონოვმა მოხსენება წაუკითხათ გუდაუთის მცხოვრებთ თემაზე «Что такое Советская власть».

აფხაზეთზე წითელი არმიის იერიშის წინ სტალინმა ცეკას დავალებით დეპეშა გამოუგზავნა ორჯონიკიძეს, რომელშიც არის **პირდაპირი მითითება** იმაზე, რომ საჭიროა აფხაზთა „აჯანყების“ იმიტირება, რათა წითელ არმიას საშუალება მისცემოდა საქმეში ჩარევისა (გავიხსენოთ ასეთივე „აჯანყების“ პროვოცირება ლორეს ოლქში იმავე ხანში): „Не забудьте абхазцев, которые тоже восстали и вблизи которых стоит IX армия“. ასე „კანონიერად“ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება აფხაზეთში, 1921 წლის 4 მარტს მთელი საქართველოს გასაბჭოების დროს.

8. აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკა არასოდეს ყოფილა, **ვინაიდან საბჭოთა კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა**, როცა უკვე შექმნილი იყო ამიერკავკასიის ფედერაცია. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისას აფხაზეთს უბრალოდ „საბჭოთა აფხაზეთი“ ეწოდებოდა.

1921 წლის 16 თებერვალს, ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე „ოფიციალურად“ გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

იმავე წლის 26 მარტს აფხაზეთის **რევკომი** ე. ეშბას, ნ. ლაკობას, პ. ალიაშვილისა და ნ. აქირთავას ხელმოწერით აგზავნის შეკითხვას ლენინისა და სტალინის სახელზე:

«Будет ли Советская Абхазия самостоятельной республикой или административной единицей и какова должна быть общая политика в Абхазии».

29 მარტს ბათუმში ჩატარებულ თათბირზე ორჯონიკიძის მითითებით გადაწყდა, რომ გამოცხადდებოდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 31 მარტს ასეც მოიქცნენ, რის შესახებაც მაშინვე ახარეს დეპეშით ლენინს.

უკვე ივლისიდან იწყება განხილვა საკითხისა აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ.

იმავე 1921 წლის 16 დეკემბერს ხანგრძლივი განხილვების შემდეგ აფხაზეთის სსრ გამოცხადდა **„ხელშეკრულებით რესპუბლიკად“**, რაც გულისხმობდა იმას, რომ აფხაზეთის სსრ **უფლებები შეზღუდული** იყო და იგი ამიერკავკასიის ფედერაციაში შედიოდა საქართველოს სსრ **მეშვეობით**. ამრიგად, მოკავშირე რესპუბლიკა რომ ყოფილიყო აფხაზეთი, მას უნდა ჰქონოდა თავისი კომპარტია, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, თავისი წითელი არმია, საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვ. არც ერთი ამ ერთეულთაგანი აფხაზეთს არ ჰქონია არც 21 წლის მარტიდან იმავე წლის 16 დეკემბრამდე და არც 16 დეკემბრის შემდეგ. ე. ი. ვიმეორებთ, **აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკა არასოდეს ყოფილა, არც სათანადო ატრიბუტები ჰქონია.**

აფხაზეთის სსრ იმავითვე ითვლებოდა **დროებით** ერთეულად. მაგალითად, 1921 წლის აგვისტოში ამიერკავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ:

«...в дальнейшем абхазцы сами убедятся в необходимости тесного объединения с советской соседкой Грузией».

აფხაზეთის სსრ, როგორც დროებითი ერთეული, გაუქმდა და 1931 წელს გამოცხადდა აფხაზეთის ასსრ.

აი, ასეთია ნამდვილი ისტორია გაზეთ „აფსნი ყაფშის“ მიერ დასმულ საკითხთა შესახებ. დასანანია, რომ გაზეთის სარედაქციო კოლეგია ასე ურცხვად და აშკარად აყრის თვალში ნაცარს აფხაზ ხალხს, რითაც ხელს უწყობს ანტიქართული განწყობილების გაღვივებას ისტორიის არმცოდნეთა შორის.

თეიმურაზ გვანცელაძე,
ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა ცვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

გათუმსა და ქუთაისში — სახელმწიფო უნივერსიტეტები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გათუმსა და ქუთაისში ამოქმედდა სახელმწიფო უნივერსიტეტები

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეიქმნა.

ამ მოვლენას განმარტავს უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი დურსუნ ბალაძე.

— აღსრულდა დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნაზე რომ წარმოთქვა: „უნივერსიტეტი აჭარაშიც უნდა გაიხსნას. საუნივერსიტეტო პროგრამის რეალიზაციას 1991 წლიდან შეუდგებით, მრავალი ორგანიზაციული საკითხი უნდა გადაწყვიტოთ, კერძოდ, ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში ახლანდელი სამის ნაცვლად ხუთი ფაკულტეტი იქნება. ეს არის ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პედაგოგიკური სპეციალობების, აგრეთვე მათემატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტები, ოთხი ახალი კათედრა და კიდევ ორი დეკანატიც დაარსდება. მათ დაემატება მასწავლებელთა შემადგენლობის 26 ერთეული, 13 ლაბორანტი, დამხმარე პერსონალის 53 თანამშრომელი.

უმაღლეს სასწავლებელს ჯერჯერობით ორი სასწავლო კორპუსი აქვს. დროთა განმავლობაში ჩვენს გვერდით მდებარე № 6 საშუალო სკოლის შენობას გადმოგვცემენ. მომავალში, ვფიქრობთ, რომ ბათუმში არსებული საზღვაო თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შემოგვიერთდება. შექმნილია 200-ადგილიანი სტუდენტთა ახალი საერთო საცხოვრებლის პროექტი, რომლის შენობაში პირველ სართულზე გამოთვლითი ცენტრი გაიხსნება.

ბუნებრივია, გვაქვს მასწავლებელთა კადრების პრობლემა. გვსურს მივმართოთ ჩვენს იმ თანამემამულეებსაც, რომლებიც არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც მუშაობენ. მათ შორის მშობლიურ ქალაქში დაბრუნების მსურველები არიან. რა თქმა უნდა, ადგილობრივი კადრების ძალზე დიდი იმედი გვაქვს. უფრო მეტიც, მას ჩვენს საყრდენად მივიჩნევთ. დარწმუნებული ვართ, რომ ახალი უნივერსიტეტი მძლავრი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი გახდება.

რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი სასწავლებელი — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი — სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა. მას სათავეში ჩაუდგა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანული კაკაურიძე.

— ასეთი გადაწყვეტილება, ბლათათ, არ გაკვირვებს იმათ, ვინც ინსტიტუტის კულტურულ ტრადიციებს იცნობს, — თქვა მან. — აქ ეწეოდნენ მეცნიერულ მოღვაწეობას აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი და მრავალი სხვა. ამჟამად აქ 19 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, 116 მეცნიერებათა კანდიდატი მუშაობს. ეს მასწავლებელთა შემადგენლობის 75 პროცენტია. გვყავს 38 ასპირანტი. ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში.

და, მართალია, უნივერსიტეტის ახლანდელ ხელმძღვანელობას მრავალი საზურნავი აქვს, მაგრამ ეს გვსიამოვნებს კიდეც. მალე განხორციელდება ამჟამად მოქმედი კორპუსების რეკონსტრუქცია. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში მწყობრში ჩადგება ახალი შენობა, რომლის საერთო ფართობი 2500 კვადრატული მეტრი იქნება. უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ყოველწლიურად 50-მდე თაბახი სამეცნიერო-მეთოდიკური ლიტერატურა გამოვუშვათ, რაც მომავალში ფინანსური ფონდის შევსების საშუალებას მოგვცემს.

საბაზო გახდება ყოფილი მეცხრე სკოლა, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან გიმნაზიად გარდაიქმნება. პერსპექტივისათვის საბაზო იქნება ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატიც, სადაც ჯგუფებს ჩვენი მასწავლებლები აიყვანენ.

ერთი სიტყვით, ახალი სტატუსი შესაძლებლობას მოგვცემს სტრუქტურა თანამედროვე მოთხოვნათა დონის შესაბამისად შევცვალოთ, ავამაღლოთ სწავლების ხარისხი.

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДЕНЬ СЪЕЗДА ПРЕССЫ

როდემდე?

ანუ ფიქრები სკკპ XXVIII ყრილობის შემდეგ

ახალი არაფერი იქნება იმაში, თუ ვიტყვით, რომ რთულია და წინააღმდეგობებით აღსავსე დროში ვცხოვრობთ.

სიტუაციას ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოების შეგნებაში უმეტესწილად ერთმანეთშია არეული პოლიტიკური, ეკონომიკური, ეროვნული, სოციალური თუ კულტურული პრობლემები. ამის გამო პოლიტიკურად ნაკლებად გათვითცნობიერებულ ადამიანებს ხშირად უჭირთ ობიექტურ სინამდვილეში გარკვევა, რაც იწვევს გაუთავებელ შეხლა-შემოხლას, გაურკვევლობას, საზოგადოების გთიშულობას.

როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ მოვლენას?

უპირველეს ყოვლისა, ალბათ, საჭიროა აღნიშნული პრობლემები ჯერ მკვეთრად გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან, განვსაზღვროთ მათ შორის არსებული კავშირები და მხოლოდ ამის შემდგომ ჩამოვაყალიბოთ ჩვენთვის მისაღები პოზიცია.

ამ წერილს, ბუნებრივია, ვერ ექნება ყველაფრის გარკვევისა და ყოველივესათვის ადგილის მიჩენის პრეტენზია, მაგრამ იგი უნდა ჩაითვალოს ცდად ახლახან მომხდარი ერთი მნიშვნელოვანი მოვლენისა და მისგან გამომდინარე შედეგებში გარკვევისა. კერძოდ, საუბარი იქნება სკკპ XXVIII ყრილობაზე, რომელშიც ისევე წარმოჩინდა სსრკ-ში მიმდინარე პროცესები, როგორც წვეთში აისახება წყლის ყველა თვისება.

ეს მით უფრო საჭიროა დღეს, როცა ყრილობიდან დაბრუნებული დელეგატები პრესაში გამოსვლებით, კოლექტივებთან შეხვედრებზე, პირადი საუბრებით გამოხატავენ ხშირად ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს. ზოგი მათგანი პოლიტიკური გამოუცდელობის გამო, ზოგი შეგნებულად ცდილობენ ხელი შეუწყონ ახალი ილუზიური პერსპექტივების შექმნას. ყოველივე ეს კიდევ უფრო ართულებს მოვლენებში გარკვევას.

მაგრამ, სანამ უშალოდ ყრილობაზე გადავიდოდეთ, საჭიროა მცირე ექსკურსი ახლო ისტორიაში.

რას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია?

კომუნისტური ანუ ბოლშევიკური პარტია რუსეთის იმპერიაში შეიქმნა XX საუკუნის გარიჟრაჟზე და წარმოადგენდა მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის უკიდურესად რადიკალურ ფრთას.

ახლა წლების გადასახედიდან კარგად მოჩანს ის გარემოება, რომ ბოლშევიკური პარტიის შექმნა მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე არ წარმოადგენდა შემთხვევით ფაქტს. ამის თქმის უფლებას იძლევა მაშინდელი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი.

სწორედ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის იწყება იმპერიის ნგრევის პროცესი, რასაც ისტორიული კანონზომიერება განაპირობებდა (ყველა იმპერია ადრე თუ გვიან ინგრევა). გაძლიერდა იმპერიაში შემავალი ხალხების სწრაფვა ეროვნული თვითგამორკვევისაკენ და კოლონიების ადგილას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩამოყალიბებისაკენ.

ჩაგრული ერების უმეტესობის ლტოლვა თავისუფლებისაკენ კიდევაც განხორციელდა 1917 წლის რევოლუციის შედეგად და რუსეთის იმპერია ფაქტობრივად დაიშალა.

მაგრამ აქ რუსეთს მხსნელად მოევლინა მარქსისტული ფილოსოფია. რუს ერში არსებულმა დიდმპყრობელურმა სულმა შესანიშნავად მოირგო მარქსიზმის უმთავრესი პოსტულატი დედამიწაზე ერთი კომუნისტური სახელმწიფოს აშენების შესახებ (რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა, რომ იგი უნდა განხორციელებულიყო რუსეთის ჰეგემონობით). მარქსისტულმა ფილოსოფიამ ხელები გაუხსნა რუსეთის იმპერიულ სულს, რათა ბოლშევიკებს, მათ მიერ წამოყენებული „მსოფლიო რევოლუციის“ ლოზუნგით, ჯერ თავიდან დაეპყრო რევოლუციის შედეგად დაკარგული კოლონიები, ხოლო შემდეგ შეძლებისდაგვარად გაეფართოებინა ახალი იმპერიის საზღვრები.

მაგრამ ყველაფერს გააჩნია თავისი ლოგიკური დასასრული. 70-წლიანი არსებობის შემდეგ მოდერნიზებული იმპერია კვლავ შევიდა კრიზისის ხანაში.

ამჟამად რა ძალებმა უნდა გადაარჩინონ იმპერია?

აი, ეს იყო მთავარი საკითხი ივლისში გამართულ სკკპ XXVIII ყრილობაზე, რა თქმა უნდა, იგი ამ ფორმით არ ყოფილა დასმული.

აზრთა ჭიდილი და შეხლა-შემოხლა ძირითადად სამი თვალსაზრისის ირგვლივ ტრიალებდა (არ არის სწორი ყრილობის ზოგიერთი ქართველი დელეგატის მოსაზრება თითქოს ყრილობაზე მხოლოდ ორი კონცეფცია: კონსერვატული და პროგრესული შეჯახა ერთმანეთს). პირველი მათგანი გამოხატა ჯგუფმა, რომელსაც „ნეოსტალინიზმის ქორად“ მონათლული ეგორ ლიგაჩოვი ედგა სათავეში. მათ კონსერვატორები უწოდეს. თუმცა ეს სახელწოდება მთლად სწორი არ გახლავთ, რადგან კონსერვატიზმი პოლიტიკაში ნიშნავს ახლისადმი ჯანსაღ კრიტიკულ მიდგომას და არა ისტორიული კანონზომიერებით გამოწვეულ სიახლეთა ვერ აღქმასა და ვერ გაგებას.

ლიგაჩოვის ფრთა საბჭოთა კავშირში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული ტურული, ერთიშორისი პრობლემების გადაწყვეტას, ანუ იმპერიის შენარჩუნებას აპირებდა დისციპლინის განმტკიცების, სხვადგარად მოაზროვნეთა იზოლაციის, რეპრესიების, კომპარტიის დიქტატურის აღდგენის საშუალებით, ანუ „ნეობოლშევიზმის“ აღორძინებით. ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოჰყოლოდა ყოველივე ამას! ეკონომიკური სიღატაკისა და ერთა დამოუკიდებლობისათვის დაწყებული ბრძოლის პირობებში ასეთ ღონისძიებათა განხორციელება პირველ ხანებში შეძლებდა დემოკრატიული პროცესების შეფერხებას, მაგრამ შემდგომ მას უსათუოდ მოჰყვებოდა ყოველივესი და უპირველესად იმპერიის ნგრევის საშინელი და სისხლიანი ხანა.

ასეთი პერსპექტივა, მიუხედავად უკიდრესი რეაქციონერული განწყობილებისა და დაბალი პოლიტიკური კულტურისა, ყრილობის დელეგატებმაც წარმადგინეს. ამიტომ არ იქნა არჩეული ლიგაჩოვი პარტიის გენერალური მდივნის მოადგილედ.

სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ყრილობის მეორე ჯგუფის, ეგრეთ წოდებულ „ზომიერთა“ ფრთის კონცეფციას ვაანალიზებთ. ამ ჯგუფს სათავეში უდგას მიხეილ გორბაჩოვი, მთავარი იდეოლოგები არიან ედუარდ შევარდნაძე და ალექსანდრ იაკოვლევი.

რის მიღწევა სურთ „ზომიერებს“?

უპირველეს ყოვლისა, დღევანდელი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის, მთლიანობის გადარჩენა. ამ მიმდინარეობის მიმდევრები ატარებენ იმპერიული ლიბერალიზაციის, გარკვეულ ზღვრამდე დემოკრატიზაციის ხაზს. დღევანდელი „პერესტროიკა“ და „გლასნოსტი“ სწორედ ამ ხაზის გამოხატულებაა. „ზომიერთა“ ფრთა წავიდა იმაზეც, რომ ხელი აიღო გავლენის სფეროებზე აღმოსავლეთ ევროპაში. ამის საფასურად დასავლეთიდან მიიღო ჩაურევლობის გარანტიები „საშინაო“ საქმეებში, ანუ საბჭოთა კავშირის მთლიანობის შენარჩუნებაში. ხელი შეუწყო, იმისაც, რომ შერყეულიყო სკკპ-ს ერთმმართველობა, რათა ხელისუფლების საზოგადოების თვალში ჩამოსცილდებოდა ავტორიტარულის დამღა. მათთვის მთავარია დანგრევას გადარჩეს იმპერია, მსოფლიომ დაიჯეროს, რომ ხელისუფლება სსრკ-ში გადემოკრატიულდა და უხვად გაიღოს სუფსიდიები მისი ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის. ვალებიც არაფერი! მთავარია, სსრკ დარჩეს ზესახელმწიფოდ, შემდეგ კი... ეკონომიკური დახმარებით ფეხზე წამომდგარ ზესახელმწიფოს არ გაუჭირდება კვლავ მომძლავრდეს, ისევ განუცხადოს პრეტენზიები მსოფლიოს...

ერთი სიტყვით, პარტიასა და სახელმწიფოში „ზომიერთა“ გეზი გულისხმობს ფასადის შელამაზებასა და აბრების შეცვლას, შინაარსი კი იგივე რჩება. მათ იდეალურ ვარიანტად ესახებათ ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკებში ჩაატარონ „დემოკრატიული“ არჩევნები, ხოლო შემდგომ მათთან დადონ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რაც მისცემს იმპერიის ხელახალი მოდერნიზაციის საშუალებას, ხოლო ჩაგრულ ერებს საბოლოოდ დაეკარგებოდა.

ყრილობაზე იყო მესამე, პირობითად რომ ვთქვათ, პროგრესული ფრთაც, რომლის იდეებს ყველაზე მკვეთრად გამოხატავდნენ ბორის ელცინი, ანატოლი სობჩაკი, გავრილ პოპოვი.

რა სურთ „პროგრესისტებს?“

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მათ ნათლად დაინახეს იმპერიის წგრევის გარდაუვალობა. დარწმუნდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში დაწყებულ პროცესს აუცილებლად მოჰყვება ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკათა სსრ კავშირიდან გასვლისა და მათ ადგილზე სუვერენული სახელმწიფოების შექმნის პროცესი. ისიც კარგად შეინიშნეს, რომ აღნიშნული პროცესი ამ ზღვარზეც არ შეჩერდება და სუვერენიტეტის მოპოვებაზე თავიანთ პრეტენზიას განაცხადებენ ის ხალხებიც, რომლებიც დღეისათვის საკუთრივ რუსეთის ფედერაციაში შედიან ავტონომიურ ფორმირებათა უფლებით.

სწორედ ამიტომ „პროგრესისტთა“ ფრთამ აქ გადაწყვიტა რღვევის საწინააღმდეგო ბარიერის ჩადგმა, რათა შეაჩერონ დაშლის პროცესი რუსეთის ფედერაციის საზღვრებთან, იმისათვის, რომ დედა-რუსეთი მაინც გადაარჩინონ თავისი დღევანდელ მასშტაბებში.

რუსი პროგრესული დემოკრატების მიზანი გასაგებია, რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი ცდილობენ ამ უზარმაზარი ქვეყნის კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანას. მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, გაუგებარია ყრილობაზე დელეგირებული ქართველი კომუნისტებისა და საერთოდ საქართველოს კომპარტიის პოზიცია.

თვით რუს კომუნისტთა პროგრესულმა ნაწილმაც შეიგნო, რომ იდეურად გაღატაკებული კომუნისტური მსოფლმხედველობა ველარ იხსნის იმპერიასა და რუსეთს. ამ დროს ქართველები ბოლშევიზმის, ამ წმინდა რუსული მოვლენის ერთგულები, ანუ რუსებზე უფრო მეტი რუსები ვრჩებით? როგორც ჩანს, საქართველოს კომუნისტთა უმრავლესობა მანამ ვერ მოეგებიან გონს, სანამ, თამაზ წიფწიფაძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ერთ მშვენიერ დღეს **დეპოში** არ გააღებიურიოში და რომელსაც დატოვებული აქვს ერთადერთი უფლება სადაო საკითხის დაყენებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე (ყველა დებულება ამოღებულია სწორედ 22-ე მუხლის საბოლოო ვარიანტიდან), თანაც დემოკრატიული ცენტრალიზმის უცვლელად დატოვებულ პრინციპებში. რაც გულისხმობს ზემდგომი ორგანოს განკარგულების უსიტყვოდ შესრულებას ქვემდგომი ორგანოებმა მიერ იქნება ჭეშმარიტად დამოუკიდებელი? თუ გჯერათ, მაშინ არაფერი გვეთქმის, ყველანი ღირსი ვყოფილვართ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობისა და თუ არ გჯერათ, ის მაინც გაგვაგებინეთ, რატომ უქმნით ილუზიებს 350 ათასამდე ქართველ კომუნისტს?

ვატყობ თავს ვერ შევიკავებ, კიდევ ერთი შეკითხვა რომ არ დავსვა:

ამ ცოტა ხნის წინათ განა ივანე ხალხი, XXVIII ყრილობის დელეგატთა უმრავლესობა და ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა არ იყო საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობის გაგონებაც რომ არ სურდა იმ მოტივით, აქაოდა არაქართველები აფხაზეთში, ქვემო და შუა ქართლში სსკპ პლატფორმაზე დარჩებიან და ინტერფრონტული ტიპის ორგანიზაციებს შეგვიქმნიანო. საინტერესოა, რა შეიცვალა ამ ორიოდე თვეში? ვითომ აღარ არიან არაქართველები აღნიშნულ რეგიონებში?

დრო მწარედ გვაზღვევინებს ხოლმე საკუთარი თავის მოტყუებას. ამიტომ საჭიროა ფხიზლად და კრიტიკულად გავაანალიზოთ, რას მოგვცემს დამოუკიდებელი კომპარტია ქართველებს. ფაქტია, სრულფასოვანი დამოუკიდებლობის შემთხვევაშიც კი იგი ვერ გახდება ეროვნული.

ამისათვის მრავალი მიზეზი არსებობს. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბოლშევიკურმა პარტიამ საქართველოს დაეკარგვინა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, გამოატარა ჯოჯოხეთური რეპრესიებისა და ომების გზით. ცენტრის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს კომპარტია ეწოდა კოლონიალიზაციის პოლიტიკას, ხელს უწყობდა ქართული სულის გადაგვარებას და რუსიფიკაციას. და რაც მთავარია, იგი წლების განმავლობაში წარმოადგენდა მექანიზმს, რომლის საშუალებითაც აგრესორმა ქვეყანამ ჯერ დაიპყრო საქართველო, ხოლო შემდეგ მართავდა და მორჩილებაში ამყოფებდა ერს.

რამდენად შესაძლებელია ასეთი პარტია თავისი მთავარი საპროგრამო მიმართულების საწინააღმდეგოდ მოკლე დროში ტრანსფორმირდეს ეროვნულ პარტიად?

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს თეორიულადაც კი გამორიცხულია.

ყოველ შემთხვევაში, ამის მაგალითი მსოფლიომ არ იცის.

საწინააღმდეგო კი რამდენიც გნებავთ. ავიღოთ გათავისუფლებული აღმოსავლეთი ევროპა. იქ კომუნისტური პარტიები ან სულ დაიშალა, ან მისი წევრების მოთხოვნით გადაკეთდა სოციალ-დემოკრატიული ტიპის პარლამენტურ პარტიებად, თუმცა ისინიც ცხოვრების განვითარების კვალობაზე, თანდათან კარგავენ თანამაზრეებს. ასეა თვით რუსეთშიც, სადაც დემოკრატიული განვითარების მომხრე პარტიულებმა ყრილობის მერე საბოლოოდ გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი სკკპ-სთან.

მაშინ, რა ისეთი მიმზიდველობა შეიძინა „კომუნისტური პერსპექტივების“ პარტიამ ქართველ კომუნისტებში, რომ ვერაფრით შელევიან მას. ანდა გვრჩება დრო იმ ექსპერიმენტისათვის, რაც კომპარტიის ეროვნულ ნიადაგზე გადაყვას, გადემოკრატიულობას და „გავარდისფრებას“ სჭირდება?

დღეისათვის არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ კომუნისტური იდეალების აღსრულებისა თვით პარტაპარატშიც კი არავის სჯერა.

თუ კი ასეა, მაშინ რაშია საქმე, რატომ არ ტოვებენ ქართველები კომპარტიას, რასაც ბუნებრივად მოჰყვება მისი ლიკვიდაცია და ცენტრს ხელიდან გამოეცლება ქართველი ერის კოლონიალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი?

საქმე იმაშია, რომ, სამწუხაროდ, ჯერ არ აღმოფხვრილა ტოტალიტარიზმისა და დიქტატურის პირობებში ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური კომპლექსები.

ზოგი ზედმეტად გონიერია და ფრთხილობს: „რა იცი, ხვალ რა მობდება!“

ზოგი მატერიალური სიმდიდრის წყაროს დაკარგვას ერიდება.

ზოგმა იცის, რომ თანამდებობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის შენარჩუნება მხოლოდ დღევანდელ სტრუქტურებში შეუძლია.

ზოგი ეროვნული მოძრაობის გათიშულობამ შეაყოყმანა.

ზოგს ვერ დაუძლევია ელემენტარული შიშისა და დაუბეჭდაობის ინერცია, თავს კი იმშვიდებს იმით, რომ „ყველა გმირი ვერ გახდება!“

ზოგს ხელი აქვს ჩაქნეული და პასუხისმგებლობას იხსნის: „საქართველოს თავისუფლებას ჩვენ მაინც ვერ მოვესწრებით, ეს მომავალი თაობის საქმეა!“

არაქართველების შეგნებას მასრებულად ბომბავენ დეზინფორმაციით: „თავისუფლება თუ მოიპოვეს ან დაგიმორჩილებენ ან აქედან გაგაყრიან“! საბოლოოდ, მათ ეს სჯერათ.

თუ ოკუპირებული ქვეყნის შვილი ხარ, რაღაც ნაწილი იმ შეჭანიზმისა, რომლის მეშვეობითაც დამპყრობელი შენს ერს მართავს, მაშინ ელემენტარულად კოლაბორაციონისტი ბქვია. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ დავუშვათ, ნომინალურად ხარ კომპარტიის წევრი და მხოლოდ საწევრეს იხდი (ან ამასაც აღარ აკეთებ). საქმე ისაა, რომ ამგვარი ხალხიც იმ 350 ათას პარტიის წევრად ითვლება. ეს უზარმაზარი ციფრი კი ცენტრში და ადგილზე ათასი მანიპულაციის საშუალებას იძლევა.

არავითარი გამართლება არა აქვს დღეს ფორმულას: „ყველა გმირი ვერ იქნება!“ ეს თვითდამშვიდება უფროა. არავითარ გმირობად პარტიიდან გასვლა დღეს აღარ შეიძლება ჩაითვალოს. ეს უფრო კატეგორიული აუცილებლობაა ყველა ქართველისათვის, რადგან საკითხი დგება ასე —ან შენი ერი და მისი ინტერესები, ან კომუნიზმის, თუნდაც „პერსპექტიულის“ და მორცხვის, მაგრამ მაინც კომუნიზმის მშენებლობა, რომელმაც შენს ხალხს უბედურების მეტი არაფერი მოუტანა.

უდარდელობა და პასუხისმგებლობის მოხსნაა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ ვერ მოვესწრებით საქართველოს თავისუფლებას და მასზე საჭიროა მომავალმა თაობებმა იტეხონ თავი. თითოეულ ჩვენთაგანს თავისი გოლგოთის გზა აქვს გასავლელი და მას სხვა ვერაკერ გაიკვლის.

ასე რომ, კითხვა „როდემდე?“ დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენს თავზე.

ამ კითხვას ერთმნიშვნელოვანი პასუხი უნდა გაეცეს!

მერაბ კერვალიშვილი,
გაზეთ „რუსთაველის“ თანამშრომელი.

ღორძინება ერგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კათარზისის“ ორი განცხადება

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“, რომელიც აერთიანებს სათნოების ორდენსა და საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებას, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად აწყობს ქართული კულტურის ფესტივალს „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“.

11 სექტემბერს გაიმართება სვანეთისა და საქართველოს მთიანეთის ჰანგების საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მუსტიის, ლენტეხის, ყაზბეგის, დუშეთისა და თიანეთის საუკეთესო პროფესიული და თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები.

ტექნიკური მიზეზების გამო საღამო ოპერისა და ბალეტის თეატრიდან გადატანილია პროფკავშირების კულტურის სასახლის დარბაზში.

საღამო 19 საათზე დაიწყება.

ფესტივალის რეჟისორია გურამ ფალავა.

შეგროვილი თანხები მოხმარდება საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას.

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰუმანიტარულ მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვასს“ და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად შეიკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში შაბათს, 8 სექტემბერს, 11 საათისათვის.

ასი ყველაზე გაჭირვებული მარტოხელა ხანდაზმულისათვის სამყოფ პროდუქტებს ისევე, როგორც გასულ შაბათს, პირადი დანაზოგიდან შეიძენენ საქართველოს ნავთობპროდუქტების სამინისტროს თანამშრომლები.

სათნოების ორდენი,
(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“).

Asociación Española de Lucha de Brazos
AFILIADOS WORLD ARM WRESTLING FEDERATION
Presidente: FRANCISCO JOVÉ FELIU
Vice-Presidente y Secretario: PEDRO RUIZ FERNÁNDEZ
Tesorero: JOAQUIN GARRIDO LASO
FAX (SEPTEMBER)
C/. Novell, ~~67~~ 39 08014 BARCELONA
☎ (93) ~~4908351~~ (Diurno) ☎ (93) 4907217 (Noches)

მოგავლის იმედით

ამ რამდენიმე ხნის წინათ, მოსკოვის ცირკის — „ნა ცვეტნომ ბულვარეს“ არენაზე დამთავრდა საბჭოთა კავშირში პირველი საერთაშორისო ტურნირი მკლავჭიდში. ტურნირი მეტად წარმომადგენლობითი იყო — მონაწილეობდნენ გუნდები აშშ-დან, ბულგარეთიდან, კანადიდან, გფრ-დან, ესპანეთიდან და საბჭოთა კავშირიდან (ორი ნაკრები). რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, იგი ტურნირში ცალკე გუნდით ახპარეზობდა და სწორედ მის შედეგებზე გვესაუბრება დელეგაციის ხელმძღვანელი და საქართველოს ნაკრების ტექნიკური დირექტორი ვახტანგ მუსელიანი:

— წინდაწინ უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეებმა თავიანთი უძლიერესი ნაკრებები ჩამოიყვანეს. ასე მაგალითად, აშშ-ის გუნდში ორი მსოფლიოს ჩემპიონი გამოდიოდა — ტომ ალან დე მასელო (80 კგ. წონითი კატეგორია) და ჯონ რიჩარდ ბრზენკი (მძიმე და აბსოლუტური). აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ბოლო რვა წელიწადია მსოფლიოში არ თმობს ლიდერობას და ამ ხნის განმავლობაში არავისთან წაუგია...

საქართველოდან ტურნირში სულ შვიდი მკლავჭიდელი მონაწილეობდა: გია გვიჩიანი (59 კგ.), დათო ჩიტაძე (68 კგ.), გელა ბეწუაშვილი (80 კგ.), ჯიმი მერაბიშვილი და ლადო კიკნაძე (90 კგ.), ზაურ ცხადაძე და სოფრომ სანთელაძე (მძიმე წონა).

ტურნირის საპატიო სტუმარი გახლდათ მკლავჭიდის, როგორც სპორტის სახეობის დამაარსებელი, „მკლავჭიდის მამა“ ბილ სობერანისი. როგორც მოგეხსენებათ, ამ რამდენიმე თვის წინათ საქართველოს მკლავჭიდელებმა ტრიუმფალურ გამარჯვებას მიაღწიეს მოსკოვის ღია ჩემპიონატში და ამიტომაც დარწმუნებული ვიყავით, რომ კავშირის მასშტაბით კონკურენტი არ გვყავდა. ჩვენთვის მთავარი იყო შეგვემოწმებინა ჩვენი რეალური ძალა უცხოელ სპორტსმენებთან, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირის დაწყებამდე ნაკრების წევრებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ ევროპული და განსაკუთრებით ამერიკული მკლავჭიდის შესახებ. ამას ისიც დაემატა, რომ მკლავჭიდის წესებს ხეირიანად ტურნირის დაწყების წინ გავეცანით, არ ვიცოდით, თუ როგორი იქნებოდა მსაჯობა, არ ვიცნობდით მოწინააღმდეგეებს და მაინც... ჩვენმა ბიჭებმა თავიანთ შესაძლებლობებზე მეტი გააკეთეს.

საბჭოთა კავშირის ორივე ნაკრებთან, ბულგარელებთან, ესპანელებთან და გერმანელებთან ჩვენს ბიჭებს არც ერთი შეხვედრა არ დაუთმიათ; მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ კანადელებთან, მაგრამ რჩებოდნენ ამერიკელები. დიახ, ამერიკელები, რომლებმაც, უბრალოდ რომ ვთქვათ, მკლავჭიდის საოცრებები გვიჩვენეს. ამერიკელმა მკლავჭიდელებმა გასაოცარი გამძლეობა, ბრძოლის ჟინი და, რაც მთავარია, ჩვენთვის აქამდე სრულიად უცნობი და ორიგინალური ბრძოლის ტექნიკა, ტაქტიკა და ხერხები გვიჩვენეს. ისინი ისე კეტავდნენ ხელს, მაჯასა და ბეჭს, ისე ხმარობდნენ ზურგსა და ფეხებს, რომ მხოლოდ განცვიფრებაში და ამასთან საგონებელშიც მოვყავდით. რა უნდა დაგვეპირისპირებინა მათთვის? და აი, დაიწყო გადამწყვეტი შერკინებების დრო. 59 კგ. წონით კატეგორიაში ამერიკელებს მონაწილე არ ჰყოლიათ და 17 წლის გია გვიჩიანს გამარჯვებაც არ გასჭირვებია. 68 კგ. წონით კატეგორიაში დათო ჩიტაძე ამერიკის წარმომადგენელთან (მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან) დამარცხდა და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა. და, აი მოახლოვდა ტურნირის მთავარი სენსაცია — გელა ბეწუაშვილი და მსოფლიოს ჩემპიონი ტომ ალან დე მასელო (80 კგ. წონითი კატეგორია). შეხვედრის დაწყებიდან სულ რამდენიმე წამი გავიდა და დარბაზი გაოგნებული ჩანდა — ახალგაზრდა ქართველთა ათლეტმა, რომელმაც სულ მხოლოდ ექვსი თვის წინათ დაიწყო ამ სახეობაში ვარჯიში, დამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი. წესებით ყველა ათლეტს ერთი წაგების უფლება ჰქონდა მეოთხედფინალამდე და, აი ფინალში კვლავ ეს მკლავჭიდელები შეხვდნენ ერთმანეთს. სამწუხაროდ, გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და ამერიკელმაც გაიმარჯვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფინალში ქართველი მკლავჭიდელი ნატეხი ხელით ასპარეზობდა. 90 კგ. წონით კატეგორიაში ჯიმი მერაბიშვილი ორჯერ დამარცხდა ჯონ რიჩარდ ბრზენკთან და მიუხედავად იმისა, რომ ჯიმი საკმაოდ ღონიერი ათლეტია, მაინც ვერაფერი გააწყო მსოფლიოს ამ უძლიერეს მკლავჭიდელთან. ტურნირის ყველაზე კულმინაციური მომენტი კი მძიმე წონის ათლეტების გამოსვლა იყო. ჯერ იყო და მასელომ, რომელიც 80 კგ-ს იწონის, რამდენიმე წამში დაამარცხა გერმანელი ათლეტი, რომლის წონაც 130 კგ-ს აღემატებოდა. შემდეგ საბჭოთა კავშირის და, ალბათ, ევროპის უძლიერესმა მძიმეწონოსანმა ზაურ ცხადაძემ ერთ წამში დაადებინა ხელი თავის რუს მეტოქეს. ზაურ ცხადაძის შეჩერება შეუძლებელი გახლდათ და ამასთანავე მან დე მასელოც დაამარცხა, ესეც თავისებური სენსაცია იყო — ამერიკელებს უკვე ორი დამარცხება მივაყენეთ. რაც შეეხება ყველაზე მრისხანე მეტოქეს — ჯონ რიჩარდ ბრზენკს, მას ფინალამდე არანაირი სერიოზული წინააღმდეგობა არა ჰქონია.

...ფინალი, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ ცხადაძე და ბრზენკი დადგნენ, ტურნირის ნამდვილი მშვენება იყო. ქართველმა ათლეტმა რამდენჯერმე გააფთრებით შეუტია მეტოქეს, წაიღო კიდევაც მეტოქის მკლავი, მაგრამ ვერ დაადებინა ბოლომდე. განსაცვიფრებელი იყო, თუ როგორ კეტავდა ბრზენკი ხელს ზურგითა და მხრით. ზაურიმ ყველაფერი გააკეთა, რომ გაემარჯვა, კიდევ 7-8-ჯერ შეუტია მაგრამ ბოლოს ხელი დაეღალა, ოდნავ მოდუნდა და ბრზენკმა ელვისებური შეტევით გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ ეს დამარცხება ზაურისთვისაც და მთელი ჩვენი გუნდისათვის გამარჯვების ტოლფასი იყო. მთელმა მსოფლიომ დაინახა ჩვენი რეალური ძალა — გუნდური მეორე ადგილი, 1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი, არც ერთი დამარცხება ევროპელებთან და, რაც მთავარია, — ორი გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონებთან. მკლავჭიდის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი შეგვპირდა თავიანთ ფედერაციაში გაწევრიანებას და აღგვითქვა, რომ აუცილებლად მიგვწვევდა მკლავჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ოქტომბერში უნდა გაიმართოს. აღსანიშნავია. რომ ჩვენმა დელეგაციამ ტურნირის დაწყებისთანავე ძალიან თბილი და კეთილმოსურნე ურთიერთობა დაამყარა ყველა ქვეყნის დელეგაციასთან და ასევე ყველამ გამოთქვა სურვილი ჩვენთან მომავალი კონტაქტებისა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნაკრების წევრებმა მიიღეს სამახსოვრო პრიზებიც, რომლებიც დააწესა საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირმა.

მთლიანობაში ტურნირმა ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია. ჩვენ იქიდან თავაწეულნი წამოვედით, ბევრი რამ ახალი აღმოვაჩინეთ, ბევრი მეგობარიც შევიძინეთ და ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ სპორტის ეს შედარებით ახალგაზრდა სახეობა ჩვენთან სწორ გზაზე დგას.

დაბოლოს, მინდა, თხოვნით მივმართო ყველას, ვინც ამ სახეობითაა გატაცებული, რომ ნუ მიმართავენ ე. წ. კუსტარულ ვარჯიშებს და ნუ ატარებენ ცალკე ჩემპიონატებსა და პირველობებს. მსურველებს კი ველოდებით უნივერსიტეტის სპორტკლუბში ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა.

ჩაიწერა
ბია ტუხაშვილმა

სურათებზე: მარცხნივ — ზაურ ცხადაძე; შუაში — ესპანეთის მკლავჭიდის ფედერაციის ემბლემა; მარჯვნივ — გელა ბეწუაშვილი.

ანონსი

საქველმოქმედო კომერციული ფირმა „ჰუმანიზმი“

საქართველოში პირველად აწყობს საქველმოქმედო შოუ კონცერტს „მის—საქართველო-90“-ს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ყველა მანდილოსანს. მსურველებმა უნდა გაიარონ წინასწარი რეგისტრაცია შესარჩევ ტურებში მონაწილეობის მისაღებად ფირმის წარმომადგენლობაში 1 ოქტომბრამდე ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 18 სთ-მდე, თბილისში ონიაშვილის ქ. № 11 (გაგარინის მოედანი) ტელ. 37-55-93.

კონკურსში გამარჯვებულ მანდილოსნებს ელით ფასიანი საჩუქრები: საზღვარგარეთის ტურისტული საგზურები, ფულადი პრემიები. საქართველოს დედოფალი კიდევ უფრო გამორჩეულ საჩუქარს მიიღებს.

შოუ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ პოპულარული ანსამბლები და მომღერლები. ფირმა მზად არის მიიღოს იმ ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოოპერატივების განაცხადები, რომელთაც სურთ სპონსორობა გაუწიონ შოუ კონცერტს „მის საქართველო-90“-ს.

იმ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, კოოპერატივებს ვისაც სურს თავისი პროდუქციის ან საქმიანობის რეკლამა შოუ კონცერტში, მიმართეთ ფირმის წარმომადგენლობას 10-დან 18-სთ-მდე.

ღონისძიებების შემოსავალი მოხმარდება მრავალშვილიან მარტოხელა დედათა და მოხუცთა, ინვალიდთა მომსახურებას.

ძვირფასო მანდილოსნებო! შოუ კონცერტი გიწვევთ კონკურსში მონაწილეობისათვის!

ნუ დაკარგავთ შანსს!
იჩქარეთ!

ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ბუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „აღორძინების“ ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბინოცენტრში.

ᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲒᲝ

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверия»

ტელეფონები: მასალები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲐᲚᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიშარულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380008 მ. კოსტავას ქ. № 14.

უე 00916